

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 41 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი 10 1899 წ. № 41

შინაარსი: წოდებათა ისტორია საქართველოში ალ. ხახანაშვილისა.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვ რიდან კვირამდე —*** ლექსი ა. გოგოლაძისა.—ხალხის გულის მესაიდუმლე (შემდეგი) ივ გომართელისა.—ბედნიერება. (დასასრული) ელ. წერეთლისა.—პასუხად ბ-ნ ნ. წერეთელს ერთი წევრთაგანისა. და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქ. ქუთაისი.
ექიმი
გაბრ. იოს. გოკიელოვი
მიიღებს ავათმყოფებს დილის 9—12 საათამდის, საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა ლევან ქურთოშვილის სახლი № 20
(3—3)

წოდებათა ისტორია საქართველოში.

X თავად-აზნაურობა.

II.

დიდებულთა წამოყენების მიზეზს, როგორც მიხვდებოდა მკითხველი, ვეძებთ ეკონომიურ გარემოების მოწყობაში. დიდებულთ თავდაპირველათ შეჰქნა სამსახურმა კი არა მეფისადმი, არამედ ქონებამ, მოპოებულმა ძალით. ამიტომაც დიდებული მდიდარიც იყო და შემძლებელიც. დიდებულთა სათავის ალსანიშნელათ მკითხველს უნდა გავაცნო თუ როგორ გვაქვს წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის დასაწყისი. ეკონომიური კავშირი გვინდა გავიმძლევანოთ ჩვენი წარსულის გასათვალისწინებლათ. ალებმიცემობის გაძლიერებამ მტკვარსა და რიონზე დაბადა მდიდართა წრე, შემდეგ დიდებულებათ გადაქცეული. აი ისტორიულნი საბუთნი და მოსაზრებანიც ამ თეორიის დასამყარებლათ.

ბერძენთა კოლონიების ანუ ახალშენთა არსებობამ შავი ზღვის პირათ გამოიწვია საქართველოს ერში მათთან სავაჭრო კავშირით დაახლოება. ნიშნათ გაცხარებული ეკონომიური მისვლა-მოსვლისა ქართველთა და ბერძენთა შორის შეიძლება ვუჩვენოთ, გარდა ლეგენდისა არგონავტთა მოსვლისა სამეგრელოში ოქროს მატყლოსანის გასატანათ, უმრავლესი საგანძური ჩვენში ბერძნულ-რომაელთ ფულებისა. მისვლა-მოსვლა წარმოებდა რიონით და მტკვრით, იმ დროს მრავალწყლოვან მდინარეთ ცნობილით. პატარა მდინარენიც აგრეთვე ატარებდენ ნავებს და ეზიდებოდენ საქონელს შორეული ადგილებიდან გასაყიდათ. სტრაბონი მოწმობს, რომ ყვირილით და ცხენის წყლით ნავით სავალი იყო ციხე შორაპნამდის (სარაპანა), სადაც შეიძლება მოთავსდესო მთე-

ლი ქალაქი. (20) შორაპნიდან მიდიოდა გზატკეცილი მტკვრამდე და ამ გვარათ მოტანილი შავი ზღვით საქონელი რიონით და ყვირილით ერცელდებოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

კოლხიდელების ქსოვილნი ძველთაგანვე განთქმულნი იყვენ და ერცელდებოდენ შორეულ ქვეყნებში. სავაჭრო მოქმედებამ იძულებულ ჰყო ქართველი ერი გაეცნო აღებმიცემობის საზღვაო და სახმელეთო გზები და აღენიშნა იგინი რუკებზე. [21]) რამდენათ აყვავებული იყო აღებმიცემობა ჩვენში საკმარისათ მოწმობს სტრაბონის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ დიოსკურიაში 70 სხვა-და-სხვა ჩამომავლობის ერი იკრიბებოდა ყიდვა გაყიდვის მიზნით. რიონზე 120 ხიდი ყოფილა, რის გაკეთებაც გამოწვეული იქნებოდა დიდი სავაჭრო მოძრაობით. საქართველოდან მიდიოდა უცხოეთში: ტყე, სელი, კანაფი, თაფლი, სანთელი, ფისი, ესე იგი ის ნივთები, რითიც საქართველოს ბუნება მდიდარი იყო. გარდა დიოსკურიისა შავი ზღვის პირათ ორი კიდევ დიდი მოვაჭრე ქალაქი მდებარეობდა: სპერი და ეა. ბერძენთა შემდგომ რომაელნი, საშუალო საუკუნოებში გენუელები და ვენეციელები იჭერენ სავაჭრო კავშირს საქართველოსთან. ამაზე ადრე კავკასიას საერთოთ აქვს მისვლა-მოსვლა ასსურეთთან, საიდანაც გაერცელებულა სასწორის ხმარება, [22]) როგორც ამას თვალსაჩინოთ ამტკიცებს ერთგვარი სახელწოდება საწონისა ჩვენში და ასსურეთში. საქართველო გზაენიდა ამ ქვეყანაში გასაყიდათ მინებს და ლითონის აეეჯეულობას, [23]) როგორც მოწმობს წინასწარმეტყველი ეზეკიელი; თუ მკითხველისთვისაც ეჭვს გარეშეა, რომ თობელი და მოსოხ ჩვენნი იმერნი და მესხნი არიან (ჩემი Древн. предѣлы разселенія грузинъ გვ. 1, 4). ფინიკიელებიც ყოფილან ჩვენში სპილენძის და კალის მადნების გასატანათ. ამათ

[20]) Страбонъ, географія, XI, 2, 7.

[21]) Риттеръ, გვ. 51—56.

[22]) Morgau, Mission scientifique au Caucase II, 278. შეადარე ქარ. ცხოვრება, რომლის სიტყვით საურმაგი და მირვანი ემორჩილებოდენ ასსურელებს. I, 34—35.

[23]) წინასწარმ. ეზეკიელი XXVII, 13. Lavan, Tubal and Meschech, theywere thy merehants: they traded in thyfairs. მომყავს ინგლისურათ ეს ამონაწერი, რადგან ქართულში და სლავიანურში ეს ადგილი არ არის რიგიანათ გადმოცემული: სრულებით გამოტოვებულია ერი მოსოხ და თობალა.

გაავრცელეს ჩვენში თაყვანის ცემა ასტარტასი (ბერძენთა აფროდიტა—ღმერთა სილამაზისა და სიყვარულისა) და ერაკლესი. ნივთები, რომელიც აღმოაჩინა კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას არხეოლოგმა შანტრმა მოწმობენ ამ გაღმერთებული გმირის პატივის ცემას საქართველოშიაც. კულტის შემოტანა—ასტარტასი და ერაკლისა მოწმობს დიდიხნის და შესამჩნევი მისვლა-მოსვლის გაელენას საქართველოზე სამხრეთიდან მდებარე სახელმწიფოებისა. [24])

რომაელებთან საქართველოს კავშირი მოჩანს იქედან, რომ თელავის მაზრაში აღმოჩნდა რომაელთა ფულები და სასაფლაო, რომლის მსგავსი მოიპოვება იტალიაში. ესრედ წოდებული სარკოფაგი მაჩხაანში (თელავთან) წარმოადგენს თიხის კუბოს თავსახურავით, რომელსაც ჰქონია პატარა სანათური მიცვალებულთა ჩასასვენებლათ. ასე იმარხებოდენ რომაელები. [25]) ზღვით მოგზაურობის გაერცელებას საბერძნეთიდან მოწმობს თვით სიტყვა ნავი, წარმომდგარი ბერძნული (vaû) და ლათინური navis-გან. გარდა ამ ჩამოთვლილი სახელმწიფოებისა, რომელთანაც ჰქონდა საქართველოს მისვლა-მოსვლა, უნდა აღენიშნოთ სავაჭრო გზა, რომელიც მიდიოდა ევრიაზე ბუხარა, სპარსეთ, ინდოეთ და ევროპაში. [26]) კავკასიაზე გაიარა აუარებელმა ხალხმა აზიიდან ევროპაში დასასახლებლათ. ასეთმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველოსამ შეჰქმნა წოდება-მოვაჭრეთა და მეომართა.

უცხოეთიდან მოსული ვაჭარი ძველ დროში იყო იგივე მეკობრე: თუ საქონელს ვერ გაჰყიდდა, ავაზაკობას მოჰყვებოდა. ამიტომ საქართველოში, რომელზედაც გზათ მიდიოდენ დაუდეგარი მტერი მოვაჭრენი საჭირო შეიქმნა შუაგულ ადგილებშიაც ცხე-ქალაქების გაშენება და სამხედროთ მოწყობა. უკვე სტრაბონი აღნიშნავს მთელ წოდებას მხედართა, რომლის წინამძღვრათ იყო ამორჩეული პირი. მთელი ერი გაიყო სამ დასათ: ბატონებათ ანუ წინამძღვრებათ, მხედრებათ ანუ უბრალო ერათ და ყმებათ, რომელთაც ეკუთვნოდენ დაელათ დარჩენილი მტრები. ამ გვარათ პირველი წოდება პრივილეგიით აღჭურვილი, რომელსაც მიესაკუთრა უფლება უმაღლესი მმართველის, მსაჯულის და წინამძღოლისა [27]) წამოყენებული იყო სავაჭრო და სამხედრო

[24]) Chantre Recherches antropologiques sur le Caucase II, 81—2.

[25]) *Памятники древности телавскаго уѣзда*, стр. 13.

[26]) *Сбор. свѣд. о Кавказѣ I, 35.* Торговые пути сообщенія въ древнемъ Закавказьи.

[27]) *Страбонъ*, Географія, XI, 3, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილების წყალობით. მდიდარი ვაჭარი გარს შემორტყმული მხედართა დასით პირველათ თავის ქონების დასაცველათ გახდა წინამძღვრათ მტერთაგან დასაცველათ იმ ჯგუფისაც, რომელიც მიეკედლა მას გამაგრებულ ციხეში. მაშასადამე სავაჭრო გზაზე მდებარე საქართველომ წამოაყენა ჯერ ალებ-მიცემობის მტვირთველნი, შემდეგ ამ პირთა შორის გამდიდრებულნი ქონების და თავისუფლების დასაცველათ პატარ-პატარა საზოგადოების წინ წამოდგა წინამძღვარი, რომელმაც სავაჭრო მეიდანი [28]) ციხეთ გადააქცია, ძალა მოიკრიფა და უცხო ერისგან დაიცვა თავიც, ქონებაც და შეფარებული მასთან მსოფლიონიც. ასე გვაქვს წარმოდგენილი ეკონომიური სათავე საქართველოს ისტორიისა.

დაახლოვებით აღვნიშნოთ პოლიტიკური სარჩულიც, რომელზედაც აღმოცენდა წოდებათა ისტორია. გაცხარებულ ალებ-მიცემობის დროს საქართველოს თავზე წამოადგენ სხვა და სხვა მხრიდან აუარებელი მტრები; ხოზარნი, მთიელნი და აზიიდან დაძრული ხალხნი ერთმანეთზე მოკიდებულნი დაესხენ კავკასიას. მტრებთან საბრძოლველათ საჭირო შეიქნა სავაჭრო ქალაქების გამაგრება და მეომართა რიცხვის გამრავლება. ქალაქები გადაიქცენ ციხეებათ მოვაჭრენი მხედრებათ. ამ პოლიტიკურმა გარემოებამ შექმნა სამეფო ძალა ფარნავაზისა, რომელიც ისტორიულ პირათ მიაჩნიათ იმათაც, ვინც ეჭვის თვალით უყურებს უძველეს ნაწილს „ქართლის ცხოვრებისას“. ფარნავაზი — პირველი გმირია, რომელიც დახსომებია მემატიანეს შეიძლება საერო გადმოცემიდან. სახელი ფარნავაზი უნდა წარმომდგარიყო ფესვიდან ფარი, ფარნა და აღნიშნავდა კაცს, რომელმაც განდევნა შემოსეული მტერი (შეიძლება ალექსანდრე მაკედონელის ჯარიც ყოფილიყო) და დაამკვიდრა საქართველოში ცოტა თუ ბევრათ განწყობილი წესი და რიგი. დამარცხებული და ცოცხლათ დარჩენილი მტრის ჯარი ხვდა დავლათ გამარჯვებულს, რომლის მოწინამძღვრეებმაც გაიყვეს და მონებათ დაასახლეს მამულები. სავაჭრო პატარ-პატარა საზოგადოებანი გადიქცენ საბატონყმო მამულებათ.

ამგვარათ დასაწყისი ჩვენი ისტორიისა პოლიტიკური გარემოებით აიხსნება. გარეშე მტერთა შემოსევამ შეაერთა განცალკევებული ქართველთა თემნი რომელთა შორის სავაჭრო გზაზე მდებარეობის წყალობით მოიპოებოდენ გამდიდრებულნი პირნ[illegible] მდიდარნი შემოიკრიბენ უცხოთა გამდევნელის გარს და მას მიანიჭეს პირველი ადგილი დანარჩენ თემთა უფროსებს შორის. ფარნავაზი იყო მცხეთის მამასახლისის ჩამომავალი და როგორც უფროსი გვარის წარმომადგენელს შერჩა მტერთა გადევნის მოთავეს პირველი ადგილი ქართლში. მამულის უცხოთაგან განთავისუფლების ისტორიაში მემატიანე გვაუწყებს ბუნდ ცნობას შესახებ მიუწდომელი განძისა, ოქროისა და ვერცხლისა, [29]) რომელიც ქვაბში ჰპოვა ფარნავაზმა, ჭაბუკმა გონიერმა [30]) და მხედარმა. ეს დაფარული განძი შედეგი იყო საქართველოს სავაჭრო წარსულისა და მოწმობს, რომ შიშიანობამ დაამალვინა ერს გამოქვაბულში ალებ-მიცემობით მოპოებული ქონება.

მცხეთის მამასახლისის წინ წამოყენებაც მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე [31]) უნდა იყოს დაფუძნებული. უძველეს დროიდან მცხეთაში ცხოვრობდენ ებრაელნი, რომელთაც ეკუთვნოდათ ერთი ნაწილი ქალაქისა — მოგვთა. ებრაელებმა გააბეს ალებმიცემობის ქსელი მოსამზღვრე ხალხებთან. მტკვარი შეადგენდა იმ ძლიერ ძარღვს, რომელსაც მიჰქონდ-მოჰქონდა სავაჭრო ნივთები. მაშასადამე მცხეთა იყო ის გული ვაჭრობისა, სადაც იკრიფებოდა გასაგზავნი ქართლის ნაშრომი და საიდანაც ვრცელდებოდა ებრაელთა წყალობით სამზღვარ გარეთიდან მოტანილი საქონელი. ებრაელებმა ჩააბეს ქართველებიც ალებ-მიცემობაში. ერი მიაწყდა იმ ადგილს, სადაც ხედავდა საქონლის გასავალს. ასეთი ადგილი იყო მცხეთა [32]) მტკვრის პირას, სადაც უერთდება არაგვი, მთიულებთა დამაკავშირებელი. მცხე-

---

28) ინდოეთთან ვაჭრობას მტკიცდება სამთავროს სასაფლაოში აღმოჩენილი ნივთებით: cyprea moneta, cardium rubinosum. *Уваровъ*. Взглядъ на Мцхетскій могилникъ. Труды Москов. археол. общ. *X*, 18-24 г.

29) მთიელებთანაც რომ ჰქონდათ ბრძოლა ბერძნებს და ქართველებს საერო ინტერესის (ვაჭრობის) დასაცველათ ამას მოწმობს „ქართ. ცხოვრება“. შეადარე Vivien Saint Martin, Recherches sur les populations primitives.. du Caucase, 53, 54, 72.

30) „ქართლის ცხოვრება“ გვ. 29.

31) მცხეთის (სამთავროს) ძველი მიცვალებულების გათხრამ დაარწმუნა ბევრნი, რომ ეს მიცვალებულნი ქართველთ მოდგმისა არ უნდა იყოს. *Байернъ*. Мцхетскій могильникъ.

32) შემდეგ გაიზარდა მოვაჭრე ქალაქი თფილისი. მე-VI საუკ. სომხის ისტორიკოსი უხტანესი ამბობს, რომ იგი დიდი, მშვენივრათ გაშენებული ქალაქია. *Ухтанесъ* Лѣтописи ч. IV, 18. Ст. Исторія агванъ *М. Каганкаговаци* пер. Патканова 187—109 хозары осадили портовый славный изнѣженный и великій городъ Тифлисъ.

თის მმართველს, რასაკვირველია, მეტი შეძლება და ქონება მოეპოებოდა, ვიდრე მტკვრის ნაპირებიდან განშორებულ მამასახლისებს, მცხეთელს შეეძლო დაეკეტა ციხის კარები და არავინ გაეტარებია ნავთსადგურამდის, მაშასადამე მოესპო ყიდვის და გაყიდვის საშუალება. ასეთმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეძლენა მას მეტი ქონება (საბაჟო გადასახადი) და ქონებაზე დამყარებული ძალა და გავლენა დანარჩენებზე. როცა გარემოებამ მოითხოვა ქართლის ერის შეერთება და მტრისგან განთავისუფლება, მაშინ ეს საქმე იტვირთა იმ პირმა, რომელსაც იცნობდა მთელი ერი. მცხეთელის დროშას ამოუდგენ დანარჩენნი მამასახლისნიც, ანუ გამგენი თემებისა და საერთო ძალ-ღონით გადეენეს მტერი. მცხეთის მამასახლისის ჩამომავალს ეკონომიურ მნიშვნელობასთან დაერთო პოლიტიკური გავლენაც. აქამდის იგი იყო წარმომადგენელი საეკლესიო დედაგულისა, ახლა იგი გახდა ხალხის თავალში გმირათაც—დამხსნელათ უცხოთა ბატონობისაგან.

მეფობის განმტკიცება ადვილი არ იყო ფარნავაზისთვის, იგი იძულებული იყო შეეწყნარა გაეყოფა თავის სამეფოსი ათ საერისთაოთ.[33]) პირველ მეფეს არ შეეძლო ძალდატანებით მოესპო თავისუფლება კერძო ნაწილებისა, რომელთაც მანამდის განაგებდენ მამასახლისები—თემების უფროსნი. ეს თვითნებობითი განაწილება კი არ იყო, არამედ იძულებული შეწყნარება ძველი წესწყობილებისა, იმ განსხვავებ-თ, რომ მამასახლისებს დაერქვათ ერისთავები. თუ ღვაწლით შემოსილ ფარნავაზს შეეძლო დაემყარებინა დროებითი თავის გავლენა დანარჩენ ერისთავებზე, ესევე ვერ შეძლეს იმის მემკვიდრეებმა: უკვე საურმაგის დროს „ერისთავნი“ აღდგენ და განიზრახეს: „მოვკლათ ჩუენ საურმაგ და ვიყუნეთ თავისუფალ, ვითარცა ეგუენ პირველ“. მემატიანეს სიტყვებს უმატებს ბატონიშვილი დავით და ამბობს, რომ განზრახვა ჰქონდათ მამასახლისების აღდგენაცაო.[34]) ამდენათ სუსტი იყო მეფის ძალა და შემძლებლები იყვენ ერისთავნი, რომ მეოთხე მეფე ფარნაჯომი განდეენეს საქართველოდან. ერთი სიტყვით მეფე იძულებული იყო, რადგან არ შეეძლო იმ დროს, როცა მუდმივი ჯარი არ ჰყავდა და არც გზები იყვენ გატანილნი, შეეწყნარა მამასახლისების უფლება იმ განსხვავებით, რომ მათ დაერქვათ ერისთავები და ინიშნებოდენ მეფ-ს აღმორჩევით.

ამ გვარათ მამასახლისი, რომელიც იდგა თემის მოთავეთ იმიტომ, რომ მას შესწევდა მატერიალური ძალა და ზნეობრივი გავლენა, გადიქცა ხალხის ამორჩეული მამასახლისისაგან მეფის მიერ დანიშნულ მოხელეთ—ერისთავთ. ძველათ დიდებული შეძლებით და გავლენით ახლა შეიქმნა იგი დიდებულიათ მეფის წყალობ-თაც. ერისთაობა გახდა მოხელეობა და მხოლოთ შემდეგ გახდა გვარის სახელწოდებათ. როცა ერისთავმა გვარი დაჰკარგა, მაშინ შთაჰმავლობას გადეცა მხოლოთ მამა-პაპათა ღირსების სახელი და დაჰფარეს დადიანებმა, გურიელებმა, ქსნის და არაგვის ერისთავებმა მათ წინაპართა გვარი კახაბერთა, ჩიქოანთა, ბიბილურთა, სიღამონთა და სხვ. ამ ერისთავთა ჩამომავალნი ქამთა განმავლობით დარჩენილნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უსამწყსოთ ანუ უადგილოთ სახელმწიფოს მეხანიზმის მართვაში, გახდენ თავებათ ანუ თავადებათ უეროთ.

გიორგი მეფის დადგინებით ერისთავის მკვლელი მძიმე დამნაშავეა და გარდახდეენება დარბაზით ეკითხოს. ერისთავი უმაღლესი გამგეა თემისა და არც ერთხელ არ იხსენიება იმის კანონებში ერისთავი, როგორც წარმომადგენელი თავადთა წოდებისა. თემის გამგებლათ ინიშნებიან პირნი აზნაურთა და მსახურთაგანი.[35]) არამც თუ გიორგიმ, აღბულამაც კი არ იცის ჯერ სიტყვა „თავადი“, იგი ხმარობს წოდების აღსანიშნელათ დიდებულს, აზნაურს, მსახურს და გლეხს.[36]) ვახტანგის კანონები უკვე უჩვენებენ ტერმინს თავადს სამ ხარისხათ ცნობილს. პირველ ხარისხოვანი თავადი წოდებულია დიდებულ „თავად“. ამ დიდებულებს ეკუთვნიან ისინი, ვისაც შერჩათ მაზრების ერისთაობა: არაგვ-სა და ქსნისა ანუ სარდლობა: ირბელიანს, ამილახორს და ციციშვილს. ამათ ემატებოდა მეექვსე გვარი სომხეთის მელიქიშვილისა. უფროსი ამ გვარებში, როგორც წარმომადგენელი მმართველობისა, იყო პირველი ხარისხის თავადი ანუ დიდებული. ამათი შვილები და ნათესავები კი ეკუთვნოდენ მეორე ხარისხის თავადებს. და-

[33]) ასე ფიქრობს ბატონიშვილი თეიმურაზი (ისტორია) გვ. 115 „ქარ. ცხ.“ სიტყვით რვა საერისთოთ. (გვ. 31).

[34]) „ქარ.-ცხ.“ გვ. 34—35. *Ст. Давидъ царевичъ груз.* Исторія грузіи გვ. 15 „Грузины, огорченные Саурбакомъ хотѣли свергнуть его съ престола и *возстановить* паки у себя *мамасахлисовъ*“.

[35]) გიორგი მეფის კანონები §§ 2, 3. მამასახლისის მოვალეობა თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით იყო სპასპეტობა, გამგეობა და სარკის მიღება „ქვეყნისაგან საერისთოთა თვისთა“ მეფესთან მისართმევად. „ისტორია“ 11) გვ. შენ. ა) ერისთავის მოვალეობაც ეს იყო. მაშასადამე სახელი შეეცვალა მამასახლისს და შინაარსი მოვალეობისა შერჩა იგივე.

[36]) აღბულა §§ 2—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარჩენნი თავადნი რიცხვით 50, მოხსენებულნი ერაკლეს ტრაქტატში ეკატერინე მეორესთან, შეადგენდენ მესამე ხარისხის თავადობას. დიდებული თავადი იქამდის იყო დიდებული, ვიდრე თავის მამულს გაჰყოფდა და ამ მიზეზით შეამცირებდა თავის ქონებითი და ზნეობითი ძალას. გაჰყო თუ არა მამული, პირველ ხარისხოვანი თავადი ჩამოცურდებოდა მეორე ხარისხზე და მისი ნათესავ შვილები ჩაირიცხებოდენ მესამე ხარისხში. „გაუყრელ და ერთი თავი", ვახტანგ მეფის სიტყვით, დიდებული თავადი რჩებოდა მხოლოთ დიდებულათ. „ამათ გარდა უმატებს ვახტანგი, ამათსავე სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა „ქონდათ". [37]) სისხლის ფასი დიდებულ თავადს ჰქონდა 1536 თუმანი. შუა თავადს ამას ნახევარი სისხლის ფასი დაეურვოდა და მესამე თავადს ნახევარი მეორე თავადისა. [38]) მეფის მოხელეს, უმატებს ვახტანგი, სისხლი დიდებულთანაც სდის—გვარობის სისხლს გარეთად სახელის სისხლიც ზედ დაურთიან". [39]) ეს კანონი მეფისა აძლევდა ფართო გზას მოხელეთა გადასულიყვენ უმაღლეს არისტოკრატიაში — დიდებულთ რიცხვში. მეფის სამსახურმა შეჰქმნა მეორე ჯგუფი დიდებულთ და საერთოთ თავად აზნაურთ: ეს ჯგუფი იყო ნამსახურობითი წოდება (служилое сословіе), ხოლო ჯგუფი პირთა, რომელთაც პრივილეგია ეკუთვნოდათ წინაპართა ღვაწლით — შეადგენდა ჩამომავლობითი არისტოკრატიას. (родовая аристократія).

ა. ხახანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

ინგლისსა და ტრანსვაალს შუა მოლაპარაკება, საუბედუროთ, ვერ გათავდა მშვიდობიანობით. ისევ იარაღმა გაგვასწოროსო, დაიძახა პატარა ტრანსვაალმა და ინგლისმაც თავისი ჯარი რესპუბლიკის საზღვრებზე მიაყენა. ჯერ-ჯერობით რამდენიმე წვრილი შეტაკება მოხდა. ბურებს ბედი უღიმის, მაგრამ ხანგრძლივი იქნება კი ეს ფორტუნის მფარველობა? ორივე მხარე დიდ მზადებაშია — დღე დღეზე სერიოზულ შეტაკებას მოელიან.

ტრანსვაალის რესპუბლიკამ აუარებელი სხვა და სხვა იარაღი გამოიწერა გერმანია — საფრანგეთიდან.

[37]) „ვახტანგის კანონები" §§ 35. შეად. Акты Кавказ. археогр. ком. т. VI, ч. I; გვ. 118—119.

[38]) „ვახტანგის კანონები" §§ 26, 27, 25.

[39]) ib. § 38.

ინგლისის ჯარის მთავარ-სარდალმა ბულლერმა წასვლის დროს განაცხადა: ნამდვილ ბრძოლას იქამდი არ დავიწყებ, სანამ 75,000 ჯარის კაცი არ მეყოლებაო.

ომის დაწყებამ იძულებულ ჰყო მადნის მუშები მიეტოვებიათ მუშაობა. ათასობით ტოვებენ ისინი ტრანსვაალს და მიემგზავრებიან ინგლისისაკენ. საინტერესოა იმათი აზრი ამ ომის შესახებ. მთელი ეს ომი ხელოვნურათ არის გამოწვეულიო,—ამბობენ მუშები; ჩვენ გვაიძულებენ მოვითხოვოთ ის უფლებები, რომლებიც ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის; ჩვენ მუშა ხალხი ვართ, ტრანსვაალში სამუშაოთ წამოვედით და ფულსაც ვშოულობდით. სისხლი დაიღვრება არა ჩვენთვის, არამედ მსხვილ კაპიტალისტებისათვის, რომელთაც მთელი ტრანსვაალის ჩაგდება სურთ ხელშიო.

—

როგორც გაზეთ „კავკაზს" შეუტყვია მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს დაახლოებით გაუცვნია ბაქოს ნავთის მუშათა გაჭირვებული მდგომარეობა და საჭიროთ დაუნახავს დაარსდეს მუშათათვის განსაკუთრებული საცხოვრებელი ადგილები, ჰიგიენის მხრით კარგათ მოწყობილი.

—

თფილისის ცხენის რკინის გზის კონცესიის ალებას მსურველნი არიან შემდეგნი: 1) „ბელიოსის" საზოგადოება, რომელსაც გამგეობა კელნში აქვს 2) პეტერბურგის საზოგადოება „უნიონი", 3) ძმ ბურჟუები პარიჟიდან 4) ი. ი. პოლტარაცკი და 5) „დიურანის" ფირმა პარიჟიდან. ყველა ამათ, რასაკვირველია სულ სხვა და სხვა პირობები წარმოადგინეს, ამიტომ გამგეობამ ამ პირობების განხილვა და საპჭოში მოხსენების წარდგენა მიანდო თავ. ვ ჩერქეზიშვილს.

—

როგორც ისმის თფილისში მალე გამართება ადრესების საცნობო, ისე როგორც რუსეთის დიდ ქალაქებშია.

—

ყარსის რკინის გზის დამთავრება გზათა მინისტრმა თ. მ. ი. ხილკოვმა ბ. ვედენეევს მიანდო. რაც ამ საქმისთვის ბ. ვედენეევს ფული დაჭირდება, ხაზინიდან უნდა მიეცეს ახლავე. („ცნ. ფურ".)

—

როგორც ვიცით თფილისის თავად-აზნაურობამ არ მიიღო თ. ზ. გ. ერისთვისაგან ოძისის მამული, რომელიც მან სამეურნეო სკოლის დასაარსებლათ შესწირა ჩვენს ღარიბ თავად-აზნაურობას. თავადმა ეს მამული სახელმწიფოს გადასცა, და სწორეთ ამ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილის დასათვალიერებლათ 4 ამ თვეს ოძასში წაბრძანდა სამეურნეო და მიწათ მოქმედების მინისტრი ა. ს. ერმოლოვი, რომელმაც დიდათ მოიწონა მამული სამეურნეო სკოლის გასახსნელათ და გამოსაცდელ სამეურნეო სადგურის დასაარსებლათ.

—

30 სექტემბერს „თფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების" წარმომადგენელმა ბ. რობიმ ოლქის სასამართლოში ქალაქზე საჩივარი შეიტანა. რობი საჩივარში აცხადებს, რომ უსახელო საზოგადოებას კონცესია თავისათ მიაჩნია კიდევ 31 წლის განმავლობაში და ამიტომ თხოულობს, რომ ოლქის სასამართლომ უკანონოთ იცნოს თფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გაზეთებში დაბეჭდილი განცხადება კონცესიის აღების მსურველთა კონკურსის შესახებ და შეაჩეროს საჯარო ვაჭრობა. ოლქის სასამართლომ ბ. რობის თხოვნა არ შეიწყნარა.

—

ამა წლის 17 სექტემბერს კავკასიის ფარმაცევტთა კრებამ თავის დელეგატათ მოსკოვში სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრებაზე დასასწრებათ აირჩია პროვიზორი ილია ალხაზიშვილი.

—

როგორც ისმის, განზრახვა აქვთ, რომ პირდაპირი მიმოსვლა თფილისისა და მოსკოვს შუა ბაქო-დერბენტ-პეტროვსკის გზაზე გამართონ ნოემბრის გასულს, ან დეკემბერში.

—

დიდი ხნის პროექტი ტელეფონის მართულით პარიჟის და ბერლინის შეერთებისა, როგორც „სავაჭრო-სამრეწველო" გაზეთი იუწყება, მალე განხორციელდება. ორივე მხრიდან დაუწყიათ კიდეც მუშაობა. პირობის ძალით თითოეული მხარე მოვალეა გააბას ტელეფონის მართული თავის ტერიტორიაზე. მთელი სიგძე ტელეფონის მართულისა უდრის 1,100 კილომეტრს. მუშაობა დასრულდება მომავალი წლის აპრილამდე, შეიძლება უფრო ადრეც, ასე რომ პარიჟის გამოფენაზე დამსწრეთ შეძლება ექნებათ ისარგებლონ ამ ტელეფონით.

—

ოზურგეთიდან გვწერენ, რომ გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის" წარმომადგენელთა კრებამ მოლარეთ აირჩია დ. შაიშვილი და გამგეს თანაშემწეთ გ. მარგალიტაძე.

—

ამაღლებიდან იწერებიან, რომ იქ ამ დღეებში ერთი უბედურება დატრიალდა: იქაურმა მცხოვრებმა ყ. დოლიძემ მოკლა თავისი მამა ფ. დოლიძე. მიზეზი მკვლელობისა სულ უბრალო იყო: მამა — შვილს რაღაც ლაპარაკი მოუვიდათ. მამა დასაკრავათ მიიწია; შვილმა იქვე მდგომ მაყურებელს ხელიდან ცული გამოსტაცა და მამას თავში დაკრა. საბრალო 60 წლის მოხუცმა იქვე სული დალია.

„კვალის" კორესპონდენციები.

ქ. ბათომი. ბიბლიოთეკის საქმე თანდათან წინ მიდის; მიდის წინ არა კუს ნაბიჯით, როგორც ამ დრომდის იყო, არამედ ისეთი სისწრაფით, რომ ბიბლიოთეკას მოკლებული ბათომი მალე ბიბლიოთეკას იხილავს. გასულ კვირას მოიწვიეს ქართული სკოლის დარბაზში საზოგადოება და უნდა ვთქვათ, რომ ამ კრებამ ცხადათ დაგვანახა საზოგადოების სურვილი ამ კეთილი საქმის შესახებ.

კრებაზე თავმჯდომარეობდა ქ-ნი ნინო ქიქოძისა, რომელიც ბიბლიოთეკის დამფუძნებლათ ითვლებოდა. კრებაზე წევრებათ 105 ჩაეწერა, რომელთა შორის ექვსი პატივცემული პირი ბიბლიოთეკის საპატიო წევრათ ჩაეწერა და ოც და ხუთ-ხუთი მანეთი შემოიტანა. ეს პირებია: ქ-ნი პელაგია ლომინაძისა, ბ. ბ. გრ. ვოლსკი, ზია ბეგ აბაშიძე, ექვთიმე ბერძენიშვილი, ყარამან ბერძენიშვილი და გიორგი თოიძე. კრებამ ამოირჩია ბიბლიოთეკის მზრუნველათ ქ-ნი ნინო ქიქოძე და საბჭოს წევრებათ ქ-ნნი ეფ. სამაევისა, ანნა სოლოღაშვილი, ბ.ბ. ფ. მგელაძე, კ. ჩხეიძე, ნ. ცეცხლაძე, ნ. გაბუნია და გ. ტუსკია. სრული იმედი გვაქვს ეს პირები ისე დააგვირგვინებენ ბიბლიოთეკის საქმეს, როგორც სასურველია, გამოიჩენენ ისეთ მხნეობას, რომ საზოგადოებას იმედს არ „გაუცრუებენ" და დაუმტკიცებენ იმ პირებს, რომლებიც ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ გაიძახოდენ: საზოგადოებას ვერ შევაწუხებთ, თავს ვერ მოვაბეზრებთო და სხვ. ამ გვარებს, რომ ბათომელი საზოგადოება ერთი ბიბლიოთეკისათვის ჯვარს არ ეცმება და სიხარულით გამოიღებს თავის წვლილს კეთილი საქმისათვის, ოღონდ საჭიროა შრომა და შრომა, მრავალ-სიტყვაობა კი განზე და პირველ საქმეთ ბეჯითი შრომა, მუყაითობა და საქმის რიგიანათ გაძღოლა.

ახლა მოგელაპარაკებით 27 ამ თვეს მომხდარ ბათომის ქალაქის საბჭოს კრებაზე. თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი ბ-ნი ასათიანი. სხვა მხრივ კითხვებთა შორის, სამი უფრო საყურადღებოა და ჩვენც ამ კითხვებზე მოგახსენებთ. პირველათ წაკითხულ იქნა თვით მართველობის მოხსენება ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილების ბათომის გიმნაზიის შენობის შესახებ სენატში განსასაჩივრებლათ. ქალაქის საბჭომ ხმოსა-

ნი ნ. დუმბაძის მოხსენების თანახმათ ამა წლის 17 მაისს დაადგინა, რომ გიმნაზიის შენობა აშენდეს უპანსიონოთ და გიმნაზიაში მოსამსახურე პირთა უსადგომოთ. ეს გადაწყვეტილება საქალაქო საქმეთა საკრებულომ უკანონოთ იცნო. ამ უკანონობის დასამტკიცებლათ საკრებულოს ბევრი თავისი საბუთები მოჰყავს და მათ შორის ყველაზე უფრო მაგარ საბუთათ ის მიაჩნია, რომ 97 წელში გიმნაზიის დირექტორს ქალაქის თავს და სხვა პირებს რჩევა ჰქონებიათ, რომელზედაც დაუდგენიათ პანსიონისა და გიმნაზიაში მოსამსახურე პირთათვის შენობის აგება. მიანდევეს ქალაქის თავს, რომ მან საკრებულოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანოს სენატში.

ᲛᲔᲝᲠᲔ კითხვა უქმე დღეებში მაღაზიების დაკეტის შესახებ იყო. მოგეხსენებათ რომ აქაურმა საბჭომ დაადგინა: კვირა-უქმე დღეებში მაღაზიები დაიკეტოს და მით საშვალება მიეცეს შიგ მოსამსახურე პირებს შესვენებისაო. ეს გადაწყვეტილებაც საკრებულოს უკანონოთ უცვნია და ამ უკანონობის საბუთათ კი ქალაქთა დებულების ერთი ᲛᲔᲣᲮᲚᲘ მოჰყავს, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქალაქის საბჭოს ნება არა აქვს მთელი დღეობით მაღაზიების დაკეტისა, მას შეუძლია მხოლოთ განსაზღვროს საათობით კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობაო. მართალი უნდა ვთქვათ ხმოსნების უმრავლესობა მეტათ მონდომებული იყვენ, რომ მათი გადაწყვეტილება გასულიყო. საბჭომ დაადგინა: დავტოვოთ განუსაჩივრებლათ საკრებულოს გადაწყვეტილებაო და კვირა-უქმე დღეებში მაღაზიები 12 საათიდან 2 საათამდი ღია უნდა დარჩეს.

ბათომის პოლიცმეისტერი თხოვდა საბჭოს, რომ „გოროდოვეებისთვის“ ჯამაგირი მოემატებინათ: ისეთი მცირე სასყიდელი ეძლევათ „გოროდოვეებს“, (უფროსებს 20 მან. უმცროსებს 16 მ.), რომ არავინ არ თანხმდება ამ სამსახურში დადგომაზე და ვინც არიან გამოუცდელი და უვარგისნი, რომლებიც ერთი, ორი თვეობით რჩებიან და მერე მირბიან სამსახურიდანო. ასეთი შინაარსის იყო პოლიცმეისტრის მოხსენება. თურმე ნუ იტყვით და ყოველ წლობით ბათომს პოლიციის შენახვა 60 ათასი მანეთი უჯის. მაშინ, როცა სხვა ქალაქები პოლიციისათვის იმდენს არ ხარჯავს, რამდენსაც ხაზინა, ბათომს კი მთლათ ჰყავს კისერზე ჩამოკიდებული პოლიცია. სულ რომ უმატოთ ჯამაგირი პოლიციელებს, ჩვენი შემოსავალი სულ პოლიციას მოუნდებაო, და ბ-ნ პოლიცმეისტერის მოხსენებას უარი მოახსენეს.

— X.

დ. ზესტაფონი. 18 სექტემბერს მოხდა აქაური სამკითხველოს წევრთა კრება. ივნისიდან ეს მეხუთე კრებაა. კრებას დაესწრო სულ 13 კაცი: გამგეობის ორი წევრი ს. ელიაშვილი და ვ. ჩხაიძე ორი „ნეიტრალი“, რვა „პარტიელნი“ და ერთიც გარეშე პირი. ეს ძლიერ საეჭვოარო მოვლენაა, რადგანაც ერთხელ და სამუდამოთ დამტკიცდა ზესტაფონელთა გულ-გრილობა სამკითხველოსადმი. სამასი მანეთი ვალი არისო გაიძახოდა ერთი „პარტია“, და 87 მანათი-კი აღმოჩნდა; ამათში 40 მანათი უნდა მიეცეს მიხა გაჩეჩილაძეს, რომელიც თებერვლიდან ᲛᲔᲬᲘᲒᲜᲗ საკაეეთ ითვლება. დაარსების დღეიდან იმ თვის დამლეეამდე გამგეობას წიგნთსაცავზე დაუხარჯავს 286 მანეთი 65 კაპეიკი; ამათში საწევრო ფულათ შამოსულა მხოლოთ 102 მანათი (64 მ. შარშან, 38 მან. წელს) დანარჩენი შემოწირულებაა და წარმოდგენიდან დანარჩენი. (წელს საწევრო ფული კიდეე უნდა შემოვიდეს, რადგანაც წელიწადი ივნისიდან იწყება).

ანგარიში თავიდან ბოლომდე სწორე ყოფილა, მარა საქმე ეს კი არ არის; საქმე „კენჭობია“ ყოფილა! ბ-ნ ვ. ჩხაიძემ 11 სექტემბერს განაცხადა: გამგეობის წევრობა არა მსურს და გთხოვთ სხვა აირჩიოთო. „პარტიას“ მოუკრავს ამისთვის ყური, გამოცხადდა რვა „დაჩიჩქინებული“ ბიჭი და დაცლილ ადგილებზე აირჩიეს: ვანო არდიშვილი და ილია მაღლაკელიძე. როცა „ნეიტრალებმა“ და ვ. ჩხაიძემ თქვეს: საშუალება მოეძებნოთ, მკვიდრნი არ თანაგვიგრძნობენ, და სხვა რაიმე ეცადოთ წიგნთსაცავის სიცოცხლისთვისო, „პარტიამ“ იყვირა: „ეს რა სითქმელია, ახალი გამგეობა ავირჩიოთ და საშუალებას ისინი გამოძებნიანო“. თურმე საქმე „კენჭობია“ ზე იყო მიმდგარი და სწორეთ ეს არის: „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“.

ს. ᲓᲐᲨᲕᲔᲚᲘ.

კვირიდან კვირამდე

Точное исполненіе буквы закона. — შენი ფულით სხვას ჰენსია. — გიჟი ვინ არი თავს გაიშოლტავს. — სიმართლის თქმა ძნელი საქმეა. — ქადალდი უველაფერს იტანს, ადამიანი კი არა. — რობის საჩივარი. — ზოგიერთების პრეტენზია.

ᲖᲐᲘᲡᲛᲐ თუ არა თეილისის სადგურზე თავ-ზარ დამცემი ამბავი სოლანლულში მომხდარ უბედურებისა, შემთხვეეთ სადგურზე მყოფმა ექიმმა ბ. ოსტრ ესკიმ სურვილი გამოაცხადა დაშავებულთა დახმარებისა და სოლანლულისაკენ მიმავალ რკინის გზის მოსამსახურეთა ვაგონში ჩაჯდომა მოინდომა, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როცა რკინის გზის ექიმმა ბ. როზანოვმა თავ-ᲗᲘᲗᲘᲗᲘ

ნის გზის ექიმს აქვს და არა კერძოსაო და თხოვა ეკონიდან ჩამობრძანება. თუმცა ნუ იტყვით, მომაკედავის მობრუნებასაც „разрешение“ ნამდობა! დასიჩრბეულ-დაშავებულთა მეელის მონობა ყოფილა! ამაზე უფრო გაბრონენება კიდევ შეიძლება? აი, „ბუკეფალის“ ეზო იტყვან, სწორეთ ეს არის.

* * *

ამაზე უფრო დიდი „კურიოზი“ კავკაზის რედაქციას მოუვიდა: მან ყარსის რკინის გზის ყაალ-მაჯალის გამოსარკვევად ერთი თავისი თანამშრომელი გაგზავნა. მინდობილება მშვენიერათ იქნა ასრულებული, მხოლოთ რედაქციამ თავისი თანამშრომელის წერილობითი შენიშვნა ამ საქმის შესახებ გზის გამაკეთ ინჟენერ ეურეკლს გადასცა (для редактированія) ეურეკლიც გულ-უბრალოდ კაცი არ გამოდგა და.. რაც თავის შესახებ მინუსები ნახა, პლიუსებთან გადასწორა. მარა, გიჟი ეინ არის თავს გაიშოლტავს.

* * *

არც ელადიმერ კანდელაკი გამოდგა გულუბრალო ყმაწვილი. ამას წინათ ქუთათურმა კორეს-პონდენტმა თავისი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლათ ელადიმერ კანდელაკი დასახელა. ჩვენც მოუთმენელათ მოველოდით თუ რას დამოწმებდა ბ. კანდელაკი, მაგრამ ელადიმერს კარგათ ჰქონია შეგებული ქართული ანდაზა: მართლის მთქმელს ცხენი შეკ ზმული უნდა ჰყავდესო და ბა რა დავიდარაბისა ცხელა?... ისევ ცხენის შეუკზმელობა არია და სიტყვაც ბანზე ავიდა: ჯერ მითხარი ეინა ხარ შენ რო მეკითხები, და მერე მეც ეიფიქრებ ეთქვა მართალი თუ არაო, ესე იგი, თუ შენ ბ. თავდგარიძეზე უფრო დიდი ბობოლა ხარ, შენ მოგემხრობი, თუ არა და ნიკოსაო. ლადო! ეალოდინ! ეაბა რასა ჰგავს ესა?!...

* * *

ბ-ნ კანდელაკს რაც მოუვიდა სიმხთალ ს უნდა მიეწეროს, სულ სხვაა „Черн. Вѣст“. რედაქტორი. მას სიმხთალეს ეერაკინ შეწამებს? პრიქეთ ის იმდენათ მამაცია, რომ რა გინდ სისულელე მოუვიდეს თავში, რა გინდ საზიზღარი აზრი დაებადოს, თამამათ და გაბედეით წამოისვრის. მაგალითისთვ-ს საკმარისია აიღოთ მე 221 № მისი საკუთარი ბაზეთისა, საცა დიდი რიხით ამტკიცებს, რომ გურულები ჩინურათ ლაპარაკობენო! არა ბეჯერათ? ჰო მე და ჩემნა ღმერთმა! ქართული კი არ იცანო, და რა ეიცი. ან კიდევ, ნაფიც მსაჯულთა შემოღება იქ შეიძლება, საცა მხოლოთ და მხოლოთ ერთ ენაზე



მოლაპარაკენი არიან, უბრალოს-უმეცრესობაზე ლაპარაკიც მეტია. როგორ მოგწონთ ბ. ჯალმს ფილოსოფია? ან რათ დაჭირდა ბ. რედაქტორს ასეთი ხელის ხელ საგოგმანები მარგალიტების ამოლაგება? მხოლოთ იმიტომ, რომ ის წინაალმდეგია ჩვენ ნაფიც მსაჯულთა შემოღებისა. წეროს რა, ქოლოდი ეველაფერს იტანს.

* * *

მხოლოთ ადამიანი „ეკ“ ეველეთვის როდი აიტანს უსამართლობას, და არც ქუთაისში მცხოვრებმა ბ. ანანოვმა მოიხარა ქედი უსამართლობის, წინამეიმერეთის დეკა ქალაქის გამგეობას ერთსა და იმავე საგანზე ორჯერ „გაჯაუბდეინებია“ ბ. „ანანოვისთვის ოცოც და სამი თუმანი, მხოლოთ, ღვთის წინაშე, ბარათ ც ორი მიუცია გამგეობას. დაკი ეს ბარათები წარუდგენია ანანოვს გუბერნატორთან, რომელსაც თავის მოხელეთვის მიუნდია ამ საქმის რეეზია. რეეზიას უმურება ავრეთვე კასას ბ. ქალაქს თავი, და როგორც „Чер. Вѣст“. იუწყება, ბეერი არა სასურველი რამ ურჩაეს. სათავად-აზნაურო ბანკშიაც ხომ რეეზია წარჩენეს. ოხ! ღმერთო ჩემო რა მოუსეენარი და დავიდარაბის მოყვარულია ეს ქუთათურები! უბაროდეთ „ბულეარდელებს“ სალაპარაკო მასალა გაუწნდათ.

* * *

თეილისში კი რობი და რკინის გზა აკერია ყველას ენაზე. თეილისის ქალაქის გამგეობა კონცესიონერებს იწვევდა ცხენის რკინის გზაზე, მაშინ როცა, თუ რობის დავუჯერებთ, მას 31 წლის ადგილ ჰქონია რკინის გზის სარგებლობისა. რობმ საჩეარი ეიტანა სადაც ჯერ არს, რომ საბჭოსაგან კონცესიონერების მოწვეეთ რამდენიმე ათასი მანეთი ზარალი მომიყიდა და დამაყოფილებას ეითხოეო. ენახოთ საქმე რით გათავდება.

* * *

გათავდება თუ არა რობის და გამგეობის საქმე ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს—იტყვიან ჩემი

„კვირიდან კვირამდის“ გმირები; ჩვენთვის ის უფრო საინტერესოა ვიცოდეთ გათავდება და ბოლო ᲛᲝᲔᲚᲔᲑᲐ ოდესმე ეს რაღაც „კვირიდან კვირამდე“-ა? სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექით, ვფიქრობდით ნოე ავათ გამხდარა პატარახან მოვისვენებთ, და ეს „გ—ო“ საიდან მოგვეელინაო. ᲛᲔᲪ სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვი. ᲐᲑᲐ რას ბრძანებთ! ᲯᲔᲠ ᲔᲮᲚᲐ რა არის და ეს „კვირიდან კვირამდე“ რომ არ იყოს, ᲮᲝᲛ სულ ერთიანათ წაწყდებოდა ქვეყანა!

გ—ო

*
* *

როს ნანატრ დროის დაჭერას სათმა,
ცას მოეკლინოს ძლევის ციხარი,
თავისუფლების იშქერს ხმამ
და მტერებს დასცეს შიშისა ზარი;
როს შეკავებულ სიმართლის ძალამ,
როგორც ქვესილმა, დაიგრიალოს
და ძლევის გელზე ნელმა ნიავმა
მძლეველი დროშა აიფრიალოს—
იმ დროის შვილო, შეგთხოვ გულრებით:
მონახე მაშინ ჩემი სიფლავი
და თავისუფალ იმ შენი ხმებით
მითხარი იმა ძლევის ამბავი.
მითხარი ტანჯვის დროინდელ შვილსა,
მწარე ტანჯვითვე სიფლავში ჩასულს,
თუ რა ძალა აქვს მაგ შენ დროს ტკბილსა,
ჩემსა იდეალს, ჩემგნით ვერ ნახულს.
მითხარი მეთქი, კაფიცებ მაგ შენს
ძლევის გვირგვინსა, თავისუფლებას,
და აგრძნობინე ის შვება ჩემ ძვლებს
რომ ბანი მოსცენ თქვენს ნეტარებას!..

ბ. გოგოლაძე.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу я начало. Нѣкрасовъ.

VII.

„ᲒᲐᲠᲢᲐᲮᲘ“ თავიდან ბოლომდე ილიუსტრაციაა იმ უბედურების, რომელიც გლეხს ატყდება უვიცობისა და მავნებელ ჩვეულებათა გამო.

ᲯᲔᲠᲐᲜ ᲢᲔᲕᲠᲘᲫᲔ გლეხკაცის კვალობაზე თავის სოფელში საუკეთესო მოსახლე იყო; მიწა იმდენი ჰქონდა, რომ მოსავალი არა თუ თვითონ ჰყოფნიდა, ყიდდა კიდეც და ამით გადასახადს ისტუმრებდა; ეზოში წამოჭიმული ჰქონდა ორთვალი ფიცრული, ბელელი, ფაცხა, ნალია, სხვა და სხვა წვრილი შენობები; შინაური საქონელი, რაც საჭირო იყო ერთი გლეხისათვის, სრულათ ჰყავდა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ გლეხს გარდა ბევრ გაღარიბებულ აზნაურსაც ეჭირა თვალი ᲯᲔᲠᲐᲜᲖᲔ: ᲪᲝᲢᲐ რამ თუ შემოგვაძლია, ქალს მივცემთო. ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲪ კარგათ ხედავდა, რომ ადვილათ შეეძლო აზნაურს დასიძებოდა, მაგრამ იცოდა, აზნაური დიდკაცობას დამიწყებს, დაᲯᲓᲔᲑᲐ და ხელს აღარ გაანძრევსო; ამიტომ გლეხის ქალს ეძებდა. ქალი ბევრი ეძლეოდა, მაგრამ ᲯᲔᲠᲐᲜᲘ მეტათ შეუᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ იყო: რადგანაც მდიდარი გლეხის სახელი ჰქონდა გავარდნილი და თვალათაც არ იყო ᲣᲠᲘᲒᲝ, ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, რომ მისი ᲪᲝᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐ ქალი მთელ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔ არ გამოსულიყო. ასეთი ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡᲐᲪ რომ არ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲯᲔᲠᲐᲜᲘ, მას ᲦᲠᲛᲐᲗ რწამდა ძველი ჩვეულება: იგი კაცათ არ იხსენების, ᲔᲘᲜᲪ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲣᲜᲔᲑᲣᲠᲡ იზამსო; ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ დედას და დას უნდა გამოერჩიათ საᲪᲝᲚᲚᲝ, ᲯᲔᲠ მათ უნდა მოწონებოდათ; თუ კი ისინი მოიწონებდენ, ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲪ თანახმა გახდებოდა. ᲮᲕᲐᲠᲐᲛᲖᲔ, აქაო და ერთათ ერთი ᲕᲐᲟᲘᲨᲕᲘᲚᲘ გამაჩნიაო, შვილზე უარესი წუნია იყო; ის მუდამ მკითხაეთან გარბოდა, მკითხავი კი გადაჭრით არავიზე უთითებდა, ამიტომ ᲕᲔᲠᲪ ᲮᲕᲐᲠᲐᲛᲖᲔᲡ გადაეწყვიტა ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲘᲚᲑᲐᲚᲘ. ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲡ და, ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲘᲪ, ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲗ ᲘᲥᲪᲔᲚᲝᲓᲐ; მას რწამდა რომ ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲪᲝᲚᲚᲔᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲔᲕᲐ დედისა და დის საქმე იყო და არა ᲯᲔᲠᲐᲜᲘᲡ. „მამა რომ გვყავდეს ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ, მაშინ ჩვენ აღარ გვექნებოდა ხმაი. მარᲯ მამა აღარ გვყავს. ჩემი ძმის ᲭᲘᲠᲘᲡ უფალი ახლა მე და ნენაი ვართ. ახლა ჩვენ თავზეა მისი ᲪᲝᲚᲘᲡ შერთვა“-ო, ამბობდა ᲮᲝᲚᲛᲔ ის. დედისა და დის უნებურათ რომ ᲯᲔᲠᲐᲜᲡ ᲪᲝᲚᲘ შეერთო, ამას ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲘ ᲕᲔᲠ წარმოიდგენდა. ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲯᲔᲠᲐᲜᲘ გაᲔᲮᲣᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ დას: ᲔᲡᲐ და ᲔᲡ ქალი მომეწონა და უნდა შევირთოვო; თუ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲡ ის ქალი არ მოწონდა, გაᲪᲔᲪᲮᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ: ᲯᲔᲠ დედა და დაი დაგვკალი და მერე შეირთეო. ᲯᲔᲠᲐᲜᲘ გაიᲪᲘᲜᲔᲑᲓᲐ და მალე დაამშვიდებდა:—„რა ბრიყვი მნახე

*) იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 40

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, რომ შენდა ნენაის უნებურათ ცოლი შეერთოვო“.

როდესაც მაშუალი მოვიდოდა ჯერანთან, ქალი ჯერ უსათუოთ ხვარამზეს უნდა ენახა; თუ მას არ მოეწონებოდა, საქმე ჩაშლილი იყო. თუ მაშუალი ჯერანსაც ურჩევდა: შენც ნახეო, ჯერანი უპასუხებდა: „არა, ნენამ ნახოს, ნენა მე არ მიღალატებს; თუ მას დაუჯდება, მეც ვარს არ ვიტყვიო“. ბოლოს, როგორც იქნა, მოეწონა ერთი ქალი ხვარამზეს; საქმე თითქმის გაათავა,— მხოლოთ მკითხავის აზრი იყო საჭირო; სამ მკითხავს აკითხვიეს დედა ქალიშვილმა და სამივემ უთხრა: ბედი კარზე მოგდგომიათ და ხელიდან არ გაუშვათო. ძველი ჩვეულების ღრმათ პატივის მცემელმა ჯერანმა თვითონ აღარ ინახულა ქალი და პირდაპირ მაყრებით დასანიშნავათ წავიდა; მაგრამ დახვეთ მის უბედურებას: საცოლეს შერცხვა, ფერი შეუკრთა, ტანისამოსიც არ უხდებოდა და ჯერანს არ მოეწონა. გაბრუნება შეუძლებელი იყო; ჯერანმა დანიშნა ქალი და გამობრუნდა სახლში. ჯერანმა დააგვიანა ჯვარის წერა: მას ქალი არ მოეწონდა და ერთი ფიქრი ეუბნებოდა, თავი დაანებეო; მეორე ფიქრი კი არწმუნებდა: სოფელში პატიოსან და სინდისიერ ადამიანს გიძახიან, ქალი შენს ნიშანს ატარებს და ახლა რომ თავი დაანებო, ხომ მოგეჭრა თავიო; ამას ჩაძახოდა ჯერანს ძველი ჩვეულება. ჯერანმა ძალათი დაიწერა ჯვარი, სოფლის უაზრო ჩვეულებამ მას ბედნიერების მაგიერ უბედურება შეძინა და მისი მდიდარი კარმიდამო დღეს პარტახათ გადააქცია.

ლიზა, ჯერანის საცოლე, თვრამეტი წლის ქალი იყო; თვალტანათ მოხდენილი იყო, ხასიათიც კარგი ჰქონდა. ჯერანს რომ პირველათ თვალი მოჰკრა, არ მოეწონა; არ უნდოდა, რომ მას გაჰყოლოდა ცოლათ; მას სხვა უყვარდა, მაგრამ ძველი ჩვეულების წყალობით ის მშობლების სრული მონა იყო და ყოველგვარი გრძნობა თავისსავე გულში უნდა ჩაეხშო. იმის ბეჯს წყვეტავდენ და მას კი კრინტიც ვერ უნდა დაეძრა; ვისაც მიცემდენ იმას უნდა გაჰყოლოდა, როგორც გაყიდული პირუტყვი. როდესაც ჯერანმა ჯვარის წერა დაგვიანა, ლიზას უხაროდა, მაგრამ, რომ მოიფიქრებდა, თავის დინებებას საქმროსაგან როგორი ჭორები და დამცირება მოჰყვებოდა, სასოწარკვეთილებას მიეცემოდა და იტყოდა ხოლმე: „რა უჭირდა, არ გვეჭირნე ღმერთსო“. უაზრო ჩვეულებას ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ ლიზას ერჩია, გაჰყოლოდა იმ კაცს, რომელიც მას ძულდა, ვიდრე სხვისი დაცინვის საგნათ გამხდარიყო. გლეხკაცი ქალს მხოლოთ გარეგნობას უმინჯავს, თვალით თუ არ მოეწონა, მისი აღარაფერი მოწონს, მისი სიყვარული არ შეუძლია. ჯერანიც ასეთი იყო; ჩვეულებამ ის აიძულა შეერთო ისეთი ქალი, რომელიც მას არ მოწონდა; ცოლის შერთვა და მისი გაუბედურება ერთი გახდა. გულნაკლულ ჯერანს ცოლის აღარაფერი მოწონდა; ჯერ სახელი გამოუცვალა, შემდეგ თმის დაწვნა დაუწუნა. ჯერანისაგან დაწუნებული ლიზა დედამთილმა და ელისაბედმაც აითვალწუნეს. თუ ლიზა დედამთილს ყოველიფერში არ დაეთანხმებოდა, ხვარამზეს გული მოდიოდა: უმცროსი უფროსს ყოველიფერში უნდა დაეთანხმოსო; თუ დაღონდებოდა, იმას უწყრებოდენ: რა გაქვს სამგლოვიო, თუ გაუჩუმდებოდა ყველას, მაშინ უფრო უწყრებოდენ: განგებ იქცევი აგრე, რომ ჩვენ გაგვახელოო.

— ესეც გველსაგით გარისინდება და ჩაიწუვეტს ენას, რომ გულზე ტეცხლი მოგვეკიდაბ კაცს! ეუბნებოდა ერთ დღეს დედას ელისაბედი.— უკვლა გველმა-ადამიანმა ასე იცის გაჩუმება. კითომ და ასე, მე კაი სულიერი კარ, შენ რაც გინდა მითხარი, მე მაინც არ მეწყინება, მაგიერს არ გეტყვიო. მარა გულში ქე წერს უკვლას და ბოლოს გველსაგით საწამლავათ გად ოანთხევს. მიუგო ქალიშვილს ხვარამზემ.

ყველა მას უწყრებოდა, ყველა მას ჰკიცხავდა, ყველა მას ლანძღავდა; მას კი უფლება არა ჰქონდა, ხმა ამოეღო. მთელ ოჯახში ლიზას ყველა მტრულათ უყურებდა, არავინ იყო ისეთი, რომ მის მდგომარეობაში შესულიყო, რომ მისთვის გაეზიარებია ლიზას თავისი გულის პასუხი. მეზობლის დედაბერთან დადიოდა, და ამასაც უწუნებდენ; მშობლებს და დაძმებს ხომ მალე ამოაკვეთიეს მასთან სიარული. ლიზას მოძულდა თავი, სიცოცხლე ჯოჯოხეთათ გადაექცა, ბევრჯერ დააპირა წასვლა, მაგრამ სოფლის შეხედულება პირიქით, მას გაჰკიცხავდა და თავს მოჭრიდა. აშკარაა, ლიზა ასეთ მდგომარეობაში ეშმაკსაც კი შეეთვისებოდა, თუ კი მასში მცირეოდენ თანაგრძნობას და სიბრალულს ჰპოებდა ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ მან ლევანი შეიყვარა. ლიზა დიდხანს ებრძოდა სიყვარულს, მაგრამ მაინც სიყვარულმა ძლია და ასეც უნდა მომხდარიყო: მან ძლივს იპოვა ადამიანი, რომელმაც ის შეიბრალა, თანაგრძნობის ხელი გაუწოდა; ძლივს ნახა მეგობარი, რომელთანაც მას შეეძლო თავისუფლათ ამოსუნთქვა, ტკბილათ საუბარი, თავისი სევდის გაზიარება; იმდროს, როცა ის ყველას ძულდა, ყველას ეჯავრებოდა, შეხვდა ადამიანი, რომელიც ეუბნებოდა:—„შენ მიყვარხარ, ტყვია მომხვდეს ამ გულში, თუ ჯერ ასე მყვარებოდეს, რავაც შენო“; ხედავდა, რომ მას გულწრფელათ ეუბნებოდენ ამ სიტყვებს; ის დარწმუნდა, რომ „ლევანი ერთათ ერთი ადამიანი იყო, რომელთანაც შეეძლო გამოეთქვა თავისი გულის პასუხი“, ამიტომ შეუძლებელი იყო არ შეთვისებოდა მას, არ გადაეტანა მასზე მთელი ის გრძნობა, რომელსაც აქამომდე საზრდო ვერ ეშოვა. ლიზამ კიდეც განიზრახა, ლევანთათ ერთათ გაქცეულიყო სადმე მაგრამ სხვა დაბრკოლებას რომ გადარჩენოდა, კანონს ვერსად დაემალებოდა, ხალხისაგან კიცხვა და წყევლა კიდევ სხვა იყო. მის გარშემო ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ მისი ბედნიერება შეუძლებელი იყო; ლიზას კანონიერი და სრულიად აუცილებელი გრძნობა ლევანისადმი გამოაშკარავდა,

ხალხმა დაინახა ამაში თავისი ჩვეულების და რწმენის დარღვევა და გაჰკიცხა ლიზა; მამამ შემოუთვალა: თავი მომჭერი ამ სიბერის დღეს, მაგრამ ჩემმა თვალებმა აღარ გნახოს ამას იქით! შენ დღეის იქით აღარ გყავს არც დედმამა და არც და-ძმებიო. ჯერანს წინეთ ცოლის გაგდება სამარცხვინო საქციელათ მიაჩნდა, მაგრამ ახლა ცოლის დანაშაული ისეთი დიდი იყო, რომ ყოველიფერი დაივიწყა და მიჰყო ცოლის ლიზას ხელი. ლიზა გრძნობდა, რომ მას უსამართლოთ ექცეოდენ, ამავე დროს თითქოს თავის თავსაც ამტყუნებდა: მისი რწმენა შერყეული იყო და გარკვეულ გზას ჯერ ვერ დადგომოდა „რა ვიცი, რეიზა შევცთი! ესე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევცთი! თლათ იგინია დანაშაული ჩემ შეცთომაში! არა ვითამ? აბა მე ვარ? რა ვიცი, ვეფერს გეიგებს კაცი, ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა“!..

ლიზას მოუკვდა ერთათ ერთი შვილი; ამ ქვეყნათ არა თუ აღარაფერი იზიდავდა მას, ყოველიფერი ეჯავრებოდა; სიკვდილი მისთვის სანატრელი შეიქნა, კიდეც მოიკლა თავი და დაამტკიცა ამით რომ თუმცა ძველებურ რწმენა შეხედულებაში იყო აღზრდილი, მაგრამ ძველი ჩვეულება დღევანდელ ცხოვრებაში მისთვის ისე მძიმე გამოდგა, რომ ველარ აიტანა და სიკვდილით გაინთავისუფლა თავი. შეუდარებელია მოთხრობის ბოლოს ის ადგილი, სადაც აწერილია ლიზას სულიერი მდგომარეობა, მისი მარტივი ფიქრები იმდროს, როცა ის თავის მოკვლას ეპირებოდა. მე არ ვიცი უკეთესი ალაგი ფსიხოლოგიის მხრივ ჩვენს ლიტერატურაში. ლიზას მთელი აზროვნება თავის მოკვლის წინ სიყმაწვილის დროსა და ნიკოს გარშემო ტრიალებს. მას უნდოდა ბედნიერი ყოფილიყო და ნება არ მისცეს. დღეს მისთვის ყოველიფერი მოსპობილია. ის ჯერ მონა იყო მამის, შემდეგ ქმრის, ხმის ამოღების ნება არც ერთთან არა აქვს. მას სიყვარული სწადია; ის კი ყველას სძულს. როდესაც ყველასაგან უარყოფილმა ნახა კაცი, რომელმაც ის შეიყვარა, დედმამამაც კი პირში ჩააფურთხეს და მის შვილობაზე ხელი აიღეს, რათ? განა მათი ბრალი არ იყო ყოველიფერი? სიკვდილის მეტი ლიზას აღარაფერი დარჩენია, მაგრამ ის იმიტომ კი არ იკლავს თავს, რომ სიცოცხლე მოძულებოდეს; არა, მას სიცოცხლე უყვარს, მას უნდა ბედნიერება, მაგრამ „თავიდან არის ყოველიფერი უხეიროთ-მოწყობილი“ და თავის მოკვლის მეტი აღარა დარჩენიარა. გაანთავისუფლეთ ლიზა ძველი ჩვეულების მონობისაგან, ნუ გადაეღობებით მის ბედნიერებას წინ, იცანით მისი პიროვნება და უფლებანი და ის სრული ბედნიერი იქნება.

არა თუ ლიზა არის შესაბრალისი, შესაბრალისია მთელი ის წრე, რომელიც ჯერ ვერ განთავისუფლებულა დამყარებულ რწმენა ჩვეულებათაგან. ლიზას გარშემო ყველა ისე შეუბორკავს ძველ ჩვეულებებს, რომ თავისუფლათ ფეხის გადადგმა აღარ შეუძლიათ. ჯერანი დარწმუნებულია, რომ მისი ცოლის შერთვა მისი დედის საქმეა და არა იმისი; როცა მაშუალი მოუდის, ის დედაზე უთითებს: ნენამ ნახოს და, თუ მოეწონა, თანახმა ვიქნებით. ხვარამზეც ამავე აზრის არის და საცოლეს სანახავათ ჯერანს კი არ გზავნის, პირ იქით სხვებს არიგებს: „ჯერანს არაფერი უთხრათ, ჯერ მე ვნახავ და, თუ მომეწონა, ქეც დავნიშნოთო“. ვერც ერთს ვერ შეუგნია, რომ ცოლის ამორჩევა მისი საქმეა ვინც მას ირთავს, და არა დედმამის. ჯერანი ხედავს, რომ გაუბედურდა, მაგრამ მას ვერ შეუგნია, სად არის მისი უბედურების მიზეზი; ის დედას უწყრება: „ზღაპარში გამიგონია დედაი, დაა მოღალატეთ, მარა თუ მართალი იყო, დღემდე არ ვიცოდი და დღეს კი ჩემი თვალით ვნახეო“. მას ვერ შეუგნია, რომ დედა და და აქ არაფერ შუაშია, რომ ყოველივე უბედურება წარმოდგა მისი სირეგვნისაგან, უმკითხავოთ რომ ფეხს არ გადადგამს, და იმ ჩვეულებისაგან, რომელიც მას ღვთისაგან დადგენილი ჰგონია და რომლის დარღვევაც მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნია. როდესაც მისი და არ მოიწონეს, ის სიდედრს უწყრება: „თუ გულით მოენდომებია, ქალის სანახავათ საქმის გაკეთებამდი რეიზა მეიყვანა? ჯერ საქმეს გავაკეთებდი და ქალის ნახვას, მასანიშნავათ რომ მოვიდოდა, მაშინაც ქე მოესწრებოდაო“. ე. ი. ის წყრება, რომ მისმა სიდედრმაც ბოლომდე არ დაიცვა ის ჩვეულება, რომელმაც თვითონ ის (ჯერანი) გააუბედურა. ძმის ცოლის შერთვაში ელისაბედი დიდი თავ გამოდებული იყო; თუ ქალებს ჩხრეკდა, თუ მკითხავებთან გარბოდა. როდესაც საქმე მის გათხოვებაზე მიდგა, დედა და ძმა ფათურობდენ, ის კი ისე იყო გაჩუმებული, თითქო მას არაფერი შეეხებოდა; თავის გათხოვების საქმეში გარევა მას სამარცხვინო საქციელათ მიაჩნდა, ამას გარდა „ურცხობა თავაშვებულობაში ჩამოართმევდენ!“ ლიზას არ მოწონს საქრმო, სხვა უყვარს, მაგრამ ჩვეულებამ ის უბრალო ნივთათ გადააქცია; მას უფლება არა აქვს, თავისი ბედის გადაწყვეტაში წილი მიიღოს, არ წაჰყვეს მას, ვინც ძულს და პირდაპირ გამოაცხადოს: მე ეს კაცი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და ჩვენს ბედნიერებას ნუ ეღობებით წინო. ზალიკას, ლიზას მამას, სასიძო კაცს უგზავნის და უთვლის: შენი ქალი არ მომწონს და გამიშვიო; ზალიკას უყვარს თავისი ქალი, მის ბედნიერება უნდა თავისი ქალის და არა გაუბედურება; მისი ქალი თუ ქმარს ეძულება, ამით ის უბედური იქნება, მაგრამ ზალიკა დაბრმავებულია უაზრო ჩვეულებით, რომლის დარღვევაც მას ოჯახის გაბახებათ და შერცხვენათ მიაჩნია. მამას, რომელსაც შვილი უყვარს, თითქო კიდეც უნდა გახარებოდა და არ მიეცა შვილი ისეთი კაცისათვის, რომელსაც მისი ქალი ეძულებოდა; მაგრამ ზალიკა მონაა ძველი ჩვეულების და ამიტომ ის სასიძოს ჩხუბს უქადის: „ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ მეინდომებს, თვარა დღეს მეც გავთავდები და იგიც გათავდებაო.“

ჩვენ დავინახეთ თუ რაში მდგომარეობს მოთხრობის დედა აზრი; ხოლო აზრის განსახორციელებლათ ავტორმა სინამდვილე ბევრგან დაამახინჯა, ბევრი სიყალბე იხმარა, ნაძალადევათ მოაწყო ბევრი გარემოება წინდაწინვე დასახულ მიზნის მისაღწევათ და ამიტომ მოთხრობა მეტათ ტენდენციური გამოვიდა. ავტორს სურდა უსათუოთ დაემტკიცებია, რომ ძველი ჩვეულებანი ხალხს ღუპავს; ცხოვრება

კი იმდენათ არ ეთანხმება ავტორს, რამდენათაც მას უნდოდა; მართალია, ცოლის შერთვაში ისეთი ჩვეულების გაბატონება, როგორიც ნინოშვილმა დაგვანახა, ბევრ უბედურებას თესავს; მაგრამ იმ ზომამდე კი არავის მიჰყავს, როგორც ჯერანი და ლიზა. ამიტომ ავტორმა ჩაურთო მოთხრობაში ბევრი ნაძალადევი პირობები, რომ მის მიერ დასასრული დასკვნა აუცილებელი ყოფილიყო; ამით კი სინამდვილეც დაამახინჯა და მოთხრობის სახელოვან ღირსებას და მნიშვნელობასაც ზიანი მიაყენა. ჯერანს არ მოეწონა ქალი, მიუკზანა სასიმამროს მოციქული, მარა არ გაუშვეს; გაპარვა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა; სახლში დაბრუნებას შემდეგ სულ გულ აღრენილი იყო და დედას და დას ხმას აღარ ცემდა. ცოლის ისე შერთვა, როგორც ჯერანმა შეირთო, იშვიათი მოვლენა არ არის ჩვენში; ჯერანს არ ეყვარებოდა ისეთი ქალი, რომელზედაც თითქმის ძალათი დაწერეს ჯვარი, მაგრამ შვილის ყოლია, ისიც ვაჟის, ბოლოს მოუღებდა ყოველგვარ უკმაყოფილებას ცოლ-ქმარ შორის. ჩვენ კი ამას ვერა ვხედავთ: ყველა შინაურებს ისევე ძულთ ლიზა, როგორც წინეთ. ჯერანს რომ არ დახოცოდა ხარები, ფეხი რომ არ დაეჭრა მძიმეთ, სიმამრს რომ ფული არ შესესხებოდა, ელისაბედის გათხოვებაც რომ არ გამორეოდა, ეჭვს გარეშეა, ლიზას ნელა-ნელა შეეჩვეოდენ და სიძულვილი მოისპოდა. ვაჟის სიკვდილი რაღა იყო? მკითხავი ამბობდა, ლიზა კუდიანი დედის შვილია, თითონაც კუდიანია, თქვენი ოჯახი აწი სულ უკან წავაო; ელისაბედი გახმა, ჩამოდნა; ამას ლიზას კუდიანობას აბრალებდენ. ამას შემდეგ ლიზა თხოვს ჯერანს გამიშვი მამაჩემთანო და ის კი არ უშვებს! მკითხავის სიტყვებისა და უბედური შემთხვევების შემდეგ ჯერანი არა თუ ლიზას სახლში წასვლას არ დაუშლიდა, პირიქით თითონ გააგდებდა და მოიშორებდა თავიდან, მართალია, მას ეთაკილებოდა ცოლის გაგდება, ეშინოდა. ვაი თუ გაუნამუსოვდესო, მაგრამ, როდესაც იმის კუდიანობაში დარწმუნდა, დალუპვის შიში უფრო ძლიერათ იმოქმედებდა ჯერანზე. მაგრამ ავტორმა დააკავა ლიზა ჯერანის ოჯახში, მოუკლა მას ვაჟი, სხვა და სხვა სრულიად შემთხვევითი გარემოებებით იმ ზომამდე მიიყვანა მისი ცხოვრება, რომ ლიზას თავის მოკვლის მეტი აღარა დარჩენოდარა. ჩვენ სრულიადაც არ ვართ იმის წინააღმდეგი, რომ მოთხრობაში შემთხვევითი ელემენტები ერიოს; მაგრამ, როდესაც მწერალი ტიპიურ მოვლენას ხატავს ცხოვრებიდან, ისე უნდა დახატოს, რომ მკითხველმა შემთხვევითი ელემენტებით არ ახსნას ეს მოვლენა; „პარტახი"-ს წამკითხველი კი უსათუოთ იფიქრებს: ძველმა ჩვეულებამ კი არა, სხვა და სხვა უბედურმა შემთხვევებმა მიიყვანეს ლიზა იმ ზომამდე, რომ უსათუოთ თავი უნდა მოეკლაო.

(შემდეგი იქნება) ი. გომართელი.

ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა.

II.

ისევ გაიარა ხუთმა წელიწადმა.

— შენ სახელზე წერილია! — კონვერტით ხელში შევიდა ცოლის ოთახში სერგო. ხელსაქმეში გართული მატა ფანჯარასთან იჯდა. მის ფეხთით ორი პატარა ბავში კარტის სახლებს აშენებდა. სერგო დაიღუნა, ლოყებზე ხელი მოუცაცუნა ორივე ვაჟს, გადასცა ცოლს წერილი და ისევ თავის კაბინეტისაკენ წავიდა.

მატამ აუჩქარებლათ გახსნა წერილი, მაგრამ დახედა თუ არა, რა ეწერა მას ქვეშ, აღელვებულმა გაჩქარებით დაიწყო მისი კითხვა.

„თუ არ გეშინია გაუთხოვარ შვილიან ქალთან დაახლოვების, მოდი ჩემთან. მე ისევ აქა ვარ. მოწერა მეტის არაფრის მინდა, ამაში მაინც არ გამოვცვლილვარ, წერილების წერა ახლაც ჭირივით მეზარება". იქვე, კუთხეში, ადრესი იყო მიწერილი.

— რუსო, რუსო...— წაილაპარაკა მატამ და ისევ აეძრა გულში ის ღრმა, მეგობრული სიყვარული, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში მარტო ერთათ ერთ რუსოსათვის გრძნობდა. გაახსენდა გიმნაზიაში მეგობრობა, გაახსენდა მაშინდელი მოუსვენარი, ცელქი რუსო, გაახსენდა მერე მასთან შეხვედრა, ის ბედნიერების შუქი, რომელიც მაშინ მის სახეს ეფინებოდა, ის უზომო სიყვარული, რომელიც მის დიდ შავ თვალებში გამოკრთოდა, და ის პატარა ფრაზა, რომელსაც მაშინ ის წყნარათ იმეორებდა გრძნობისაგან აკანკალებული ხმით:

— მე მიყვარს ის!

ახლავე, ახლავე წავა, გაიქცევა მასთან მატა. საჩქაროთ დაიხურა ქუდი, მოისხა მოსასხურავი, უბრძანა გოგოს ბავშებს არ მოცილებოდა, თითონ კი ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს ადრესი უთხრა. ნახევარ საათს შემდეგ ეტლი ქალაქის ერთ ვიწრო, მიყრუებულ ქუჩაში, ორსართულიან ჩამოძველებულ სახლთან გაჩერდა. ახალგაზდა ქალიშვილივით ჩქარი ნაბიჯით აირბინა მატამ კიბეზე. იქ, ვიწრო და ბნელ წინა ოთახში პატარა ბიჭმა უჩვენა მას, რომელ ოთახში უნდა შესულიყო, და აი, უწინდელივით ორი მეგობარი მაგრათ ჩაეკრენ ერთმანეთს.

— რუსო, რუსო! — თვალცრემლიანი იმეორებდა მატა. რუსო არას ამბობდა, მაგრამ მის დიდ, შავ თვალებში იმდენი სიხარული, იმდენი სიყვარული იხატებოდა, რომ ვერაფერი ენა მათ უკეთ ვერ გამოთქვამდა.

— ეს ჩემი ქალია! — თქვა რუსომ და წინ წამოაყენა პატარა, დედასავით შავთვალება, დედასავით შავგვრემანი ოთხი წლის ქალიშვილი. მატამ პატარა, ქალი კალთაში ჩაიჯინა, თითონ კი თვალი ვერ მოეშორებინა მის პირდაპირ მჯდომ რუსუდანისთვის. იგივე [illegible]იდი, შავი თვალები, იგივე ლამაზათ უკან გადაბრცხნილი და უბრალოთ გადაგრეხილი შავი თმა, იგივე ეშხიანი ქალიშვილური სახე, იგივე მიმზიდველობა ყოველ მიხვრა-მოხვრაში, ყოველ მოძრაობაში...

— ღმერთო! თითქო ამ ხუთ წელიწადს სულაც არ გაევლოს, თითქო ისევ ის რუსო ხარ, რომელიც მაშინ ისე მოულოდნელათ მეწვია!

— შენ კი გეტყობა, რომ გათხოვილი ქალი ხარ!—გაიცინა რუსომ. გამსხვილებულხარ, თითქო კიდეც გაზდილხარ, მაგრამ მაინც ისევ ისე ლამაზი და კარგი, ჩემი საყვარელი მატა ხარ!

— როგორ გაჩნდი აქ, როდის ჩამოხვედი, სად არის... და მატა შეჩერდა, არ იცოდა, როგორ დაესახელებინა ის, ვისაც კითხულობდა.

თითქო მწუხარების ღრუბელმა გადურბინა რუსოს მოძრავე, მეტყველ სახეს.

— ის მოკვდა... დიდი ხანია, სამი წელიწადია მას აქეთ... ნელი ხმით უპასუხა მან.—ჯერ ორ წელიწადზე მეტი პოლონეთში დავრჩი, კარგი ადგილი მქონდა, ახლა კი აქ ჩამოვედი, ჩემ სამშობლოში, ამის გულისათვის!—მიუთითა მან პატარა თმა ხუჭუჭა ქალზე.—არ მინდა, რომ თავის სამშობლოს მოწყდეს, მაინც მინდა, რომ ქართველი იყოს.. აქაც ჩემი შრომით ვცხოვრობ. აქამდის არაფერი შევატყობინე, მინდოდა, ჯერ მოვწყობილიყავი, იმისიც მეშინოდა, ვაი თუ არ მომკარებოდი.

— რას შრომობ, რას აკეთებ? —ჰკითხა მატამ და სიყვარულით მოუჭირა ხელზე ხელი.

— ახლა თარგმანები ვიშოვე, ფრანგულიდან რუსულათ ვთარგმნი ჟურნალებისთვის. კერძო გაკვეთილებიც მაქვს. რასაკვირველია, აქ ყველას ქვრივი ვგონივარ. ბევრს ვერას ვშოულობ, მაგრამ მე და ამას გვყოფნის...

— ბებია შენი? რატომ მასთან არ წახვედი, იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს?

— იმას აქამდისაც ვერ მოუტევებია ჩემთვის ჩემი უპატიოსნო ქცევა. ვიღაც შორეული ნათესავი აუყვანია და მთელ თავის საცხოვრებელს მას უტოვებს.

— საწყალი, საწყალი რუსო! —ისევ ხელი მოუჭირა ხელზე მეგობარს მატამ.

— შენ? შენ ბედნიერი ხარ? —დაკვირვებით შეაჩერდა რუსო მატას

— რუსო, გახსოვს ჩვენი უკანასკნელი საუბარი?—დაფიქრებით დაიწყო მატამ და მაშინდელივით ერთ წერტილს მიაპყრო თავისი გრძელი წამწამებით დაჩრდილული დიდი ცისფერი თვალები.—მე ვამბობდი მაშინ, რომ ნამდვილი სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც წიგნებშია აწერილი, არ არსებობს თქო, ახლა კი ვუმატებ, რომ არც ნამდვილი, ღრმა ბედნიერება არსებობს ქვეყნიერებაზე, არაფერს დაგიფარავ. ყველაფერი ისე მოეწყო ჩემ სიცოცხლეში, როგორც მე მოველოდი; მე და სერგო ძალიან კარგათ, ძალიან მშვიდობიანათ ვცხოვრობთ, ყველაფერი გვაქვს, არაფერი არ გვაკლია; ორი პატარა ვაჟი გვყავს, რომლებიც ორივეს ძალიან გვიყვარს, მაგრამ... მაგრამ მაინც ბედნიერი არა ვარ. თითონ მიკვირს, პასუხის მიგება არ შემიძლია როცა ჩემ თავს დავეკითხები, სრულ ბედნიერებას რა გიკლია-თქო, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ გავიმეორო, რომ ბედნიერი არა ვარ!

— იცი, რა გაკლია მატა? შენ გაკლია ის გიჟური, თავდავიწყებული სიყვარული, რომლის არსებობაც შენ არა გწამს... არა, არა, არის ქვეყანაზე ისიც და ბედნიერებაც, სრული, ჭეშმარიტი ბედნიერება! —შენ ჩვენი უკანასკნელი საუბარი გაიხსენე,— ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო რუსომ.— მეც კარგათ მახსოვს ის და როგორც მაშინ, ახლაც გეტყვი, დამიჯერე, რომ არის ბედნიერება, დამიჯერე, რადგანაც... მაშინდელივით ახლაც რუსოს ხმა თითქმის ჩურჩულათ გადიქცა,—რადგანაც მე თითონ გამოვცადე ის!

ორივე ქალი გაჩუმებული იჯდენ. ოთახში თან და თან ბნელდებოდა, მაგრამ სანთლის ანთება არც ერთს და არც მეორეს არ აგონდებოდა. პატარა შავ თვალება გოგონა ძირს ხალიჩაზე მოთავსებულიყო და დედის კალთას მიხუტებოდა.

— მე ბედნიერი ვიყავი... - ცოტა ხანს იქით ნელი ხმით დაიწყო რუსომ.—ამბობენ, ბედნიერებას შემდეგ კიდევ უფრო უბედურათ გრძნობს ადამიანი თავსო, მაგრამ ეს ტყუილია! კარგი წარსულის მოგონება თითქო აწმყოსაც შუქს ჰფენს, თითქო მასაც აბრწყინებს, ანათებს და აბედნიერებს! მე ბედნიერი ვაყავი. ვერ წარმოიდგენ, რა იყო ის ორი წელიწადი, რომელიც ჩვენ ერთათ გავატარეთ. ახლაც კი ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ მე მხვდა ბედათ ერთიანათ, ერთი გადაკვრით დამელია მთელი ის ბედნიერება, რომელიც ყოველი კაცის ხვედრია, მაგრამ რომელიც ხშირათ, თითქმის ყოველთვის, ისე წვრილ-წვრილ ნაწილებათ არის დაგლეჯილი და ცხოვრების სხვა-და-სხვა კუთხეში მიგდებული, რომ ადამიანი მას თითქმის ვერც კი ამჩნევს...

ოთახში კიდევ უფრო ჩამობნელდა, მაგრამ მატა მაინც ცხადათ ხედავდა რუსოს საყვარელ სახეს, რომელსაც ახლაც მაშინდელივით ბედნიერების შუქი ეფინებოდა, ხედავდა მის დიდ შავ თვალებს, რომლებშიაც ახლაც უზომო სიყვარული გამოკრთოდა.

— და იცი კიდევ რას გეტყვი?—ცოტა ხანს იქით ხელ ახლავ განაგრძო რუსომ - უთუოთ ახლა ყოველი პატიოსანი ოჯახი კარს დამიხურავს, უთუოთ, ყოველი დედა აუკრძალავს თავის ქალიშვილს ჩემ გაცნობას, მაგრამ მაინც, მე რომ მკითხონ, აი, ამისთვის,— მან სიყვარულით გადუსვა ხელი მის მუხლზე მიყრდნობილ შავთმა-ხუჭუჭა თავს,—მაინც იმისთანა უბედურებას ვისურვებდი, როგორიც ჩემი იყო, ვიდრე იმისთანა ბედნიერებას, როგორიც ათასის სხვისაა...

მატამ თავი ჩაღუნა, ვერაფერი პასუხის თქმა ველარ მოახერხა.

ეკ. წერეთელი.

1898 წ. 10 დეკემბერი.

ბ-ნ ნ. წერეთლის საპასუხოთ.

თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალი“-ს 23 №-ში დასტამბული იყო წერილი ბ-ნ ბახტაძისა, რომელიც ესაყვედურებოდა ბ-ნ ნესტორ წერეთელს, როგორც მმართველს „პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა

ბ-ნ წერეთელმა „ხმა ამოიღო“ „ივერიის“ 163 ნომერში და, რასაკვირველია, იმართლა თავი, რამდენათაც ეს მოეხერხებოდა მის მდგომარეობაში; მაგრამ ვაი ამისთანა თავის მართლებას! ყველა კითხვები ბახტაძისაგან დაყენებული ისევ ისე კითხვებათ დარჩენ. წერეთელმა არა თუ ვერ დაარღვია ვერც ერთი ბრალდება, მის წინააღმდეგ მიმართული, პირიქით გაართკეცა ისინი.

ეს ძლიერ სამწუხარო ამბავია, განსაკუთრებით ჩემთვის ამხანაგობის ერთ წევრთაგანისათვის,—სამწუხაროა მისთვის, რომ ამხანაგობა, რომელზედაც ვლაპარაკობთ, თავის თავათ ფრიად სასარგებლო დაწესებულებაა და მისი ბოლოს მოღება სასიკვდილო ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს მის დამღუპველს, ვინც უნდა იყოს იგი... ავიღოთ, მაგალითათ, შინაარსი ბახტაძის წერილისა. ბახტაძე ლაპარაკობს: 1) საზოგადოებას მმართველმა ვერ წარმოუდგინა ვრცელი, რიგიანი და სინათლიანი ანგარიში 1898 წლისათ; 2) ამხანაგობას მართავს თვით მმართველი და მარტო იგიო და ეს წესი არაა სასურველი ამხანაგობის წარმატებისათვისო; 3) კრებას მმართველი ნიშნავს მიწურულში, როდესაც მოახლოვებულია პარკების ყიდვის დროო და 4) ამხანაგობას საფუძვლიანი და რიგიანი წესდება არა აქვსო.—აი, ბატონებო, რაშია ბ. ბახტაძის წერილის დედა აზრი და მერმე როგორ პასუხს იძლევა წერეთელი? შესახებ პირველი ბრალდებისა იგი გაიძახის: „მაშ ის ბანკები, ვისთანაც ამხანაგობას საქმე აქვს, როცა ამ ანგარიშებით იგებენ ამხანაგობის მდგომარეობას, გულთმისნები ყოფილან? ან კიდევ „პეტერბურგელი განყოფილება სასოფლო სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტისა“ გულთმისნობით გვირჩევს ასეთი ანგარიშების შედგენას“?!

ეს პასუხი ძლიერ საგულისხმო და საფუძვლიანი იქნებოდა, რომ ის თავიდან ბოლომდე სიცრუეზე დამყარებული არ იყოს. მართლა და თუ ამხანაგობას ბანკებთან საქმე აქვს და იგინი (ბანკები), თავის ინტერესების გამო, თვალს ადევნებენ ამხანაგობის ანგარიშებს, არც ჩვენ მოვტყუვდებოდით და ანგარიში უეჭველათ კანონიერათ შემდგარი იქნებოდა და ბახტაძის უკმაყოფილება ამ ანგარიშის გამო მართლა და გაუგებრობაზე იქნებოდა დამყარებული. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ბ-ნ წერეთელი ცრუობს და მეტის მეტათ უსირცხვილოთ ცრუობს.—ამხანაგობას არასოდეს თავისი ანგარიში ბანკებში არ გაუგზავნია და არც ბანკები საჭიროობენ იმის გაგზავნას. რისთვის? მისთვის რომ ბანკები ამხანაგობას ფულს აძლევენ საქონლის გირავნობით და ამისთვის მათთვის სულ არაა საჭირო წერეთლის ანგარიშები ასწორონ და დრო ამაში ჰკარგონ.—ბანკს თავისი საქმე თავდარიგიანათ მიჰყავს,—მისცემთ საწინდრათ პარკებს—მოგცემსთ ფულს, ბევრათ ნაკლებს, რასაკვირველია, რაც შენ მიგიცია; არა გაქვს გირავო, ვერ მიიღებ ფულს.—

მაშ აქ, ბატ. წერეთელო, რა შუაში უნდა იყოს ბანკი და ან რისთვის უნდა მიიღოს მან შრომა, რომ თვალ-ყური ადევნოს თქვენს ანგარიშებს და მოქმედებას? თვალ-ყურს ადევნებს იგი, რომ გირავო არ გაეფანტოს და ამისთვის თქვენ ხელ წერილს გართმევსთ, გარდა გირავნობის ხელ-წერილისა, რომ თქვენ გაბარიათ ამდენი და ამდენი ფუთი პარკი და კიდევ იმაში—რომ მყიდველმა პირველათ უნდა დააკმაყოფილოს ბანკი.

ახლა მიბრძანეთ, ეს ტყუილია? აგრე არა გაქვსთ თქვენ საქმე ბანკებთან? მაშ სად არის თქვენი სიმაგრე, თქვენი საბუთი, რომ—ვითომც ბანკები (რა დაბეჯითებით ლაპარაკობთ!) გისწორებენ ანგარიშებს?!. ან როდის გაგიგზავნიათ ეს ანგარიშები და სად? ამაზე პირდაპირ მიპასუხეთ და არა ჩვეულებრივათ—თქვენებურათ...

ახლა ვთქვათ ორიოდე სიტყვა, ბ-ნო წერეთელო, შესახებ პეტერბურღელი კომიტეტისა. გაოცებული ვარ, თქვენმა სიცოცხლემ, როგორ არ გრცხვენიათ, როცა ასე გაბედულათ (მეტი რომ არ ვთქვათ) გვარწმუნებთ, რომ თქვენ ანგარიშებს რამე დამოკიდებულება აქვს კომიტეტთან? როდის გაგზავნეთ, ან რომელი წლის ანგარიში კომიტეტში? ან ვის არწმუნებთ, რომ კომიტეტი მიიღებს და გაასწორებს ანგარიშებს კერძო დაწესებულებისას?

ამით გინდათ გააკანონიეროთ თქვენი ანგარიშები და დაარწმუნოთ მკითხველი მათ სინამდვილეში? შეცდომაა, ბ-ნ ხრიკმეისტარო! იქნება თქვენ გინდოდათ გებრძანებიათ და ჩვენ ვერ მიგიხვდით, რომ თქვენ ანგარიშებს ადგენთ კომიტეტის გამოცემულ ფორმებზე? განა—ხომ? კარგი დამემართოსთ, კარგი იქმნებოდა, რომ გენებებიათ იმ ფორმებზე ანგარიშების შედგენა, მაგრამ, სამწუხაროთ, თქვენ მიგიღიათ ანგარიშის შესადგენათ პირველი გვერდი კომიტეტისგან ნაჩვენები ფორმისა და 2, 3, 4 გვერდები კი საჭიროთ არ დაგინახავთ, მაშინ როცა თავი და თავი სწორეთ 3 და 4 გვერდებია და არა სხვა რომელიმე.

მაგალითათ, თქვენ გაქვთ ნაჩვენები 1898 წ. ანგარიშში სამმართველოს ხარჯათ—4543 მ.—68 კ.

კრებას უნდოდა გაეგო, და თქვენგან პასუხი ვერ მიიღო, საიდან შედგა ეს 4543—68 კ.? თუ თქვენ კომიტეტის ანგარიშის ფორმა სრულიად მიგეღოთ, მაშინ მე 3 მისი გვერდზე ეს ჯამი განაწილდებოდა ამ გვარათ:

1. ბიჭების ქირა (ამდენი და ამდენი) 2. ქაღალდი, კალამი, ბლანკები და სხვა (ამდენი და ამდენი) 3. ფოსტის ხარჯები, ტელეგრამები, სიარული და სხვა (ამდენი) 4. ჯამაგირი მმართველის და სხვა, სულ=4543 მ.—68 კ...

აი მაშინ კრებაც გაიგებდა, რაც მას წყუროდა გაეგო და თქვენც ფორმაზე გექნებოდათ შედგენილი ანგარიში; დღეს კი, ნურას უკაცრავათ, ტყუილა გვითითებთ ჩრდილოეთისაკენ, თქვენ იქიდან არავითარი წეს-რიგი არ გადმოგვიტა იათ სახელმძღვანელოთ.

მეორე მუხლს ბ-ნ ბახტაძის წერილისას წერეთელი არღვევს ამ სიტყვებით: „უამხანაგოთ ერთათ ერთი კაცი განაგებს ამხანაგობის საქმეებსო, გვარწმუნებს ბ-ნი ბახტაძე, და კაცებათ არა სთვლის არც ხაზინადარს ამხანაგობისას, არც მდივანს და არც ხუთ წევრს სარევიზიო კომისიისასო!!.. ახლა ეგეც გინდათ დაამტკიცოთ, რომ ვითომც თქვენ მარტო არ განაგებდით ამხანაგობის საქმეს და გამგეობაში იღებდენ მონაწილეობას მდივანი, ხაზინადარი, ხუთი კომიტეტის წევრი და ვგონებ მწონავიც კი?!.

ერთი ეს გვიბრძანეთ, ბ-ნო წერეთელო, სად გინახავთ და რომელ დაწესებულებაში, რომ მდივანი და ხაზინადარი ითვლებოდენ გამგეობის წევრებათ?! ჰო, შეიძლება თქვენ შემოიღეთ ამისთანა წესი, მაგრამ, მეორე მხრით, ვინ არ იცის რომ უფლებიანის უფლებასაც ალარ ცნობილობთ, არა თუ უფლების ზედ მეტი უფლება მიანიჭოთ. დაგავიწყდათ განა, რომ წინა კარებში ბრაზ მორეული ამტკიცებდით, — ვინ არის ხაზინადარი, ვინ არის კომიტეტიო, — ერთათ ერთი მე ვარ გამგე ამხანაგობისა, რადგან ამხანაგობა დამკვიდრებულია ნდობაზეო (т-во на вѣрѣ) და სხვა და სხვა? თუ კომიტეტს რამე ეკითხებოდეს და რაიმე უფლება ჰქონდეს თქვენ ხელში, განა არ უნდა ცოდნოდა მას, რამდენი ფუთი პარკი გაიგზავნა გასაყიდათ სამზღვარ გარეთ? მე ვფიქრობ, თუ კომიტეტი იმ უფლებით არის აღჭურვილი, რა უფლებაც მას ნოტარიუსმა პირობებებმა მიანიჭა და საზოგადო კრებამ, მას მიუცილებლათ უნდა ცოდნოდა არა თუ ის, რამდენი ფუთი პარკი წაიღეთ თქვენ სამზღვარ გარეთ, არამედ თვითონ აწონაზე და ტომრებში ჩაყრაზედაც-კი უნდა დაგსწრებოდათ. გარდა ამისა კომიტეტსვე უნდა გარდაეწყვიტა თქვენი სამზღვარ გარეთ გაგზავნა და ხარჯის რაოდენობაც და არა თქვენ გეხარჯათ უანგარიშოთ საზოგადოების ფული. ეს წეს-რიგი არსად არ სუფევს, გარდა ჩვენი ამხანაგობისა.

მიბრძანეთ ახლა, რისი მაქნისია ეს თქვენი კომიტეტი, როცა ისიც-კი არ იცის, რასაკვირველია თქვენი მიზეზითვე, რამდენი ფუთი გაგზავნეთ თქვენ მარსელში გასაყიდათ?

დასასრულ ორიოდე სიტყვა შესახებ კრებების მიწურულში დანიშვნისა.

თქვენ ბრძანებთ, რომ ვითომც ბ. ბახტაძემ ტყვილი მოიგონა და მიწურულში კი არა — წლის დამდეგში ინიშნებოდეს კრებები. დასამტკიცებლათ თქვენ ასახელებთ თვეებს, როცა მომხდარა წარსული კრებები. ეს რაღა თვალთმაქცობაა კიდევ? ვითომ და რაღა, ვერ გაიგეთ ბახტაძის სიტყვები, რომ იგი წლის მიწურულზე კი არა, — პარკის ყიდვის დასაწყისის მიწურულზე ამბობს, როცა თქვენ თქვენებურ ხრიკებს ასაღებთ ანგარიშის „ჩასაფუჩეჩებლათ“.

ამაში მაინც გატყდით, ბ-ნო წერეთელო, რომ თქვენ სწორეთ რომ პარკის ყიდვის დაწყების წინ ნიშნავთ კრებებს და, როცა დაგჭირდებათ, ხალხს ეუბნებოდით: არიქა, გეიშველეთ, დაამტკიცეთ ანგარიშები ახლავე, დღესვე, თორემ ხვალ პარკის ყიდვა დაიწყება და მე ვერ შევძლებ ვაჭრობას, ვერ მოვახერხებ ფულების შოვნას, არ მცალია, იღუპება საქმეო და სხვა. ეს ხმალი ძალიანი მჭრელია თქვენთვის, — პასუხათ ყოველთვის გიყვირიან: „არიქა, დაამტკიცეთ, დაამტკიცეთო, გეჯერა ბატონო რომ მართალია და სხვა“.

ახლა მიბრძანეთ, ვის ეკადრება ამ გვარი საქციელი? ან სად არის მიღებული წესათ, რომ საზოგადო კრებაში განგებ მოაგროვონ მოსამსახურე ბიჭები, მათი მამები, „კომმისიონერები“ და სხვა ამ გვარი მყვირალა პირები იმ მიზნით, რომ მათ გაუგებლათ დაცხონ კიჟინა და ანგარიშები ხალხს დაამტკიცებინონ, თანახმათ თქვენი წინადადებისა! განა ამას არ ჯობს, რომ თქვენ როგორც საზოგადო მოღვაწე კაცმა (თუ თქვენ ამ გვარ მოღვაწეობის რამე გაგცხიათ) დინჯათ დაიკავოთ თავი, მსურველთ აუსხნათ, რაც ასახსნელია, მყვირალა ხალხს თავისი ადგილი უჩვენოთ, არ აქეზებდეთ მას და საზოგადოთ კრებებს არ აძლევდეთ პარტიულ ხასიათს?! განა ვის არ ესმის რომ თვით საქმე, რომელსაც თქვენ ხელი გიკიდიათ, ფრიად საესარგებლოა და ან ის, რომ საქმე, როგორიც კეთილი უნდა იყოს, ჯიუტის და უპატიოსნოს (თქვენ არ შეგეხებათ) ხელში გლახათ იქცევა. მე გახლდით წარსულ კრებებზე და როცა თქვენ მოგთხოვეს ერცელი ანგარიში, მაგალითათ, მოგახსენეს, სიდგან შედგა ეს მართველობის ხარჯებიო, სულ — 4543 მ. და 68 კ. თქვენ აპილპილდით და უკიჟინეთ ხალხს: „ესენი განგებ მოსული არიან თქვენ დასაღუპავათო და სხვა“..

ეს საკადრისია განა? ვინ იყო იქ ორატორებთაგანი, რომელთაც თქვენზე ნაკლები სიყვარული მიუძღოდეთ ხალხზე? მის მაგიერათ, რომ თქვენ დაწყნარებით ჩამოგვეთვალათ ყოველივე სამართველოს ხარჯები და აგეხსნათ მათი საჭიროება — თქვენ თქვენგან დაქირავებული კაცები გაუსიანეთ მსურველთ ანგარიშის გაგებისა და თავათ თქვენ ბრანწივით მოჭიმული, აღელვებდით ხალხს ამ სიტყვებით: „ესენია ჩვენ რომ გველუპავენ, ამოიღეთ ხმა (უნდა გვეგულისხმა: იკრიავეთო) და სხვა.. ხალხი ააღელვეთ იმდენათ, რომ საჭოლოკოთ შედგა საქმე და თავმჯდომარეს რომ კრება არ დაეხურა, მიუცილებლათ თქვენი „კლევრეტები“ შეურაცხყოფას მიაყენებდენ მას და სხვებსაც. ეს მთლათ თქვენი ბრალია ბ. მმართველო, და დღეს კი ბრძანებთ „მობრძანდით დავთრების სანახავათ, კარები ღიათ არისო და სხვა“.

ერთი რომ მეორე დღესვე შემდეგ კრებისა რამდენიმე პირმა ნოტარიუსი გამოგიგზავნათ და გთხოვათ, რომ ოთხი კაცისათვის მიგეცათ ნება დავთრების გადათვალიერებისა, — თქვენ უარი განაცხადეთ; ახლა კი ბრძანებთ — მობრძანდით, კარები ღიათ არისო. ვის ატყუებთ ამ-ვარი დაგვიანებული მიპატიჟებით? და ან კიდევ რომ გამოჩნდეს ამისთანა სულელი, ჯერ რა უნდა გააკეთოს და მერე განა პაღურის ცემით არ გამოაგდებთ გარეთ?

ზემო მოყვანილიდან თქვენც მიხვდებით, ბ-ნო წერეთელო, რომ თქვენი „ტალეირანობა“ იმ გვარი არაა, რომ სხვებისთვის გაუგებარი დარჩეს. ვინა ხართ თქვენ და სად მიილტვის თქვენი გულის თქმა — კარგათ ვიცით, და არა თუ ჩვენ, ის უბრალო ხალხიც კი, რომელიც თქვენ თვალ აბმული გგონიათ, ალარ სცდება თქვენ ვინაობაზე. გწონიან, გაფასებენ და გულ ახდილათ აღიარებენ თავის განაჩენს! ამასაც მოგახსენებენ, რომ თქვენისთანა ცხვრის ტყავში გახვეული „საზოგადო მოღვაწეები“ წინეთაც ჰყოლიათ ხალხს (ერთი მათგანი ხომ ახლაც გიდგიათ გვერდით), მაგრამ მათი ნამდვილი ბუნება და მიმართულება გამოაშკარავებულა თავის დროზე. ბევრი მათგანი გახუნდა და თითით საჩვენებელი შეიქნა საზოგადოების თვალში. ენახოთ, თქვენ რა მოგელით — ეს კი იცოდეთ მხოლოთ, არ ყოფილა ჯერ ბნელი რომ სინათლეს იგი არ გაეფანტოს.

ერთი წევრთაგანი „შეაბრალეთ ბიჭებელ ამხანაგობისა“.

ხონი 1899 წ. სექტემბრის 15 დღესა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.